# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 105 პარასკევი, 15 მაისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დაჰ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა—დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



14 მაისს დილით, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი ექიმ მ. ძნელაძისა

## მარიამ გრიგორის ასული ძნელაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად შეწუხებულნი შვილები: **თამარ, გრიგოლ, ლუარსაბ** და **ლევან ძნელაძენი,** დედა **ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა,** ძმები **სვიმონ** და **ანდრია გრიგორის ძენი,** დები **ანასტასია, ნინო** და **ელისაბედ გრიგოლის ასულნი კლდიაშვილები** და რძალი **მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილისა.** პანაშვიდები: პარასკევს, 15 მაისს, ნაშუადღევს 1 საათზე და საღამოს 7 საათზე, ვერაზე, დუშეთის ტუპიკი № 16. 16 მაისს საღამოს 5 საათზე, ცხედარს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე და იქიდან ქუთაისს. დაკრძალვა ქუთაისში საფიჩხეთის სასაფლაოზე 7 მაისს. სადგურიდან ვასვენება დილის 10 საათზე. (2—6.—1)

**ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ამგები კომიტეტი** ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი მწერლის

## ეგნატე ნინოშვილის

(ინგოროყვას)

სულის მოსახსენებლად მის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო. (3—1)

**გრიგოლ, აკაკი, ალექსანდრე, ოლგა, ოლიმპიარა, ნატალია და მარიამ ლუკას ძენი და ასულნი ქორქაშვილები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 მაისს, დ. ხონში ქარჩხანის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი საყვარელსა და დაუვიწყარ დედის

## ნატალია იაკობის ასულის ქორქაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (2—1)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—145)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **გ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** **მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—77)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ახლად გახსნილი
**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

- ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- ნ. გ. **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—60)

**ექიმი** **ა. დიასამიძე** სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში“ ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

◀ **ქართული** ▶

## ხალხური სიმღერები და ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთლის მიერ. წიგნის ფასი 50 კ. (5—4)

## დაბა სამტრედიაში

კვირას, 31 მაისს, „ედემის“ ბაღში, გაიმართება

## სეირნობა ლატა-რია-ალეგრით

**ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ.**

ლატარია-ალეგრის მოწყობისთვის მიიღება ყოველნაირი შემოწირულება ნივთად თუ ფულად დიდის მადლობით შემდეგ პირებთან: დაბა სამტრედიაში: მ. ა. გლადკოვისასთან, რაჟდენ ნანეიშვილთან და ი. სიხარულიძესთან; კულაშში—ქ. ლ. მამფორიას ასულთან და საჭილაოში—ნ. კორძაიასასთან.

გამგე სეირნობა ლატარია-ალეგრისა **მ. ა. გლადკოვისა.** თავმჯდ. განყოფილებისა **გ. სიხარულიძე.** (5—ნ.—3)


## ტფილისი, 15 მაისი

რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო ძლიერდება რეაქციონერთა მადა. ნამეტნავად წახალისდნენ უკანასკნელ გამარჯვების შემდეგ, როცა მთავრობისა და სტოლიპინის სურვილის წინააღმდეგ არ დაამტკიცებინეს საზღვაო მთავარ შტაბის შტატები. მაშინ კინაღამ სამინისტრო კრიზისი გამოიწვიეს, მაგრამ სტოლიპინი შეურიგდა დამარცხებას და ადგილიდან არ გადადგა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო წაათამამა რეაქციონერნი და ახლა ისინი სხვა ნიადაგს ამზადებენ, სხვა ფაქტების შემწეობით აპირებენ კვლავ სამინისტროს კრიზისის გამოწვევას.

მარჯვე შემთხვევაც ჩაუვარდათ ხელში: სათათბირო შეუდგა სარწმუნოებრივ კანონპროექტების განხილვას. ეს ისეთი სფერაა, სადაც შავრაზმელთა ბრბო ბატონად ჰგრძნობს თავის თავს, სადაც მას „სფერების“ იმედიც უფრო აქვს, სინოდის დახმარებაც მოელის, სამღვდელოების თანაგრძნობაც. მეორეს მხრით, მთავრობის მდგომარეობაც უფრო გაჭირვებულია ამ საკითხში. 17 აპრილის მანიფესტის შემდეგ, სინიდისის თავისუფლების შესახებ, მთავრობამ რეალური შეღავათიც მისცა არა მართლმადიდებელთა ეკლესიებს და საგრძნობლად ლიბერალური პროექტებიც შეიმუშა შემდეგ შესაფერ რეფორმებისათვის. ამან დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია სინოდისა და ჭეშმარიტ რუსთაგან და ეს ორი წელიწადია ამ ნიადაგზე ბრძოლა სწარმოებს. შარშან მისსიონერთა სრულიად რუსეთის კრებაზე კიევში სასულიერო შავრაზმელობამ აბდილად უარჰყო 17 აპრილის მანიფესტი და სინოდს დაავალა ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. სინოდიც პირნათლად ასრულებს დავალებას: უნახავი რეაქცია გაამეფა თავის უწყებაში; სარწმუნოებრივ თავისუფლების სუსტი მფარველი იზვოლსკი გააძევა კაბინეტიდან და მის მაგიერ შავრაზმული ობერ-პროკურორი დაანიშვნინა; სათათბიროს საეკლესიო კომისიები, მორჩილ ეპისკოპოსებისა და მღვდლების შემწეობით, სრულს თავის გავლენას დაუმორჩილა და, ერთის სიტყვით, ნიადაგი მოიმზადა „ძველ რეჟიმის“ დასაცველ-აღსადგენად სასულიერო სფერაში. სტოლიპინის მდგომარეობა ამიტომ ეხლა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე საზღვაო შტატების განხილვის დროს იყო.

რეფორმები, რომელიც ამ სფერაში იყო შემუშავებული, ისედაც საკმაოდ დაამახინჯეს და კიდევ დათმობა სრული უარის ყოფა იქნება. სტაროობრიადცებს, სხვა და სხვა მწვალებელთ, აგრეთვე კათოლიკეთაც იმდენჯერ საქვეყნოდ აღუთქვეს სარწმუნოებრივ თავისუფლების მინიჭება და „წინანდელ უაზრო ბრძოლისა და დევნის“ მოსპობა, რომ ეხლა დიდი სირცხვილი იქნება უკან დაწევა ამ სფერაშიაც. გარდა ამისა, პარლამენტის ხელმძღვანელი პარტია—ოქტომბრისტები—ამ საკითხში განსაკუთრებულს პირობებშია. ჯერ ერთი, ოქტომბრისტების რიგებში ბევრი სტაროობრიადეცია, მეორეც ის, რომ ოქტომბრისტები პირდაპირის კავშირით შეეკვრნენ ძლიერ სტაროობრიადცებს და, ნაცვლად საარჩევნო დახმარებისა, ბევრი დაპირებანი მისცეს. მათი მდგომარეობა ამ საკითხში ისეთია, რომ არ ძალუძთ უკან დაწევა და სათათბიროს უკანასკნელმა სხდომამ კიდეც დაგვანახა, რომ ცენტრის მთავარი პარტია არც აპირებს ამ საქმეში პოზიციის მოცვლას. სამაგიეროდ, ზომიერი მემარჯვენენი ოქტომბრისტებს გადუდგებიან და უკიდურეს მემარჯვენეთ დაუჭერენ მხარს. ამრიგად, სტოლიპინისათვის ალტერნატივა იბადება: ან უარჰყოს თავისივე პროექტები და უკიდურეს მემარჯვენეთა მხარეზე გადავიდეს, ან გაიყვანოს თავისი დაპირებანი არა მარტო ოქტომბრისტების, არამედ ოპოზიციის დახმარებითაც. მაგრამ, შეიძლება ამ გაჭირვებიდან მთავრობამ კიდევ დაიძვრინოს თავი და რაიმე კომპრომისის წყალობით თავისი გაიყვანოს; მისი უბედურება მერე დაიწყება. შავრაზმელნი არა ჰფარავენ, რომ პარლამენტს გარეშე უკვე კარგად აქვთ ნიადაგი მომზადებული და სათათბირომ კიდეც რომ შეიწყნაროს ზოგი პროექტი სარწმუნოებრივ საქმეებშიო, „სფერებში“ ამას იმგვარსავე ბედს სწევენ, როგორიც საზღვაო შტატებს მოუვიდათო.

ასე მეცადინეობს „მავრი.“ მისი განზრახვაა, 17 აპრილის მანიფესტსაც გამოუთხაროს ძირი და კიდევ უფრო შეზღუდოს მისი მნიშვნელობა, ვინემ 17 ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობაა ფრთა შეკვეცილი და შელახული. ოქტომბრისტების პარტიასა და მის მფარველს სტოლიპინს შავრაზმელობამ უკვე საკმაოდ გაუტეხა სახელი; კიდევ ერთი იერიში და სტოლიპინი დამხობილ იქნება; მასთან ერთად მიწასთან გასწორდება ოქტომბრისტთა პარტიაც და რუსეთის შინა პოლიტიკის მართვა-გამგეობა ხელში ჩაუვარდება კრუპენსკის პარტიას სათათბიროში, დურნოვოს მომხრეებს საბჭოში და კაბინეტში. მავრის ნამდვილი დღესასწაულიც მაშინ დადგება...

მაგრამ, არც რუსეთი იქნება წაგებაში: რაც უფრო ადრე მივა ლოგიკურ დასკვნამდე რეაქცია, მით უფრო გამომჟღავნდება ის აბსურდი, რომელსაც ჰქადაგობს მავრი. და თუ რუსის ხალხში, მის ცხოვრების სიღრმეში რაიმე ცხოველმყოფელი ძალაა, მაშინ უნდა გამოჩნდეს, მაშინ უნდა სთქვას თავისი სიტყვა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც გუშინა ვწერდით, გამოვიდა ახალი ქართული სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“. თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნორჩი ჟურნალი დიდად და დიდად საინტერესოა და თუ მისმა სულის ჩამდგმელებმა ასე განაგრძეს საქმე, ჟურნალი ნამდვილი განძი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის: ამ ჟურნალში მოთავსებულ წერილებს ყველა და განსაკუთრებით სოფლის მეურნენი დიდის ხალისით წაიკითხავენ და ბევრ რასმესაც შეიძენენ. ჟურნალი ეხება სასოფლო-სამეურნეო საკითხებსაც და კერძო პრაქტიკულ ხასიათის საგნებსაც. წერილები მოკლემოკლეა და საუცხოვო ქართული ენით დაწერილი. როგორც პირველ ნომრიდანა სჩანს, მონაწილეობას იღებენ სპეციალისტები, როგორც თეორიულის ცოდნით აღჭურვილნი, ისე პრაქტიკულად გამოცდილნი. სწორედ სავალალო იქნება, რომ ამ სასარგებლო ჟურნალს საკმაო მკითხველი არ აღმოუჩნდეს და იგი იძულებული გახდეს დაიხუროს.

რედაქცია თავის წერილში აღნიშნავს იმას, თუ რა დიდი ნაბიჯი გადასდგა მეცნიერებამ სასოფლო-სამეურნეო საქმეში, როგორ ისარგებლეს მეცნიერების ნაყოფით განათლებულ ქვეყნებში და ამბობს:

> ჩვენი სამშობლო ამ მხრივაც ძლიერ ჩამორჩენილია განათლებულ ქვეყნებში და თუ უმთავრესი არა, ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი ეკონომიური უძლურებისა ამ გარემოებაში იხატება.
>
> რატომ? განა არა გვყავანან ისეთი ცოდნა მომზადებით აღჭურვილნი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ სამეურნეო გზა გაუნათონ ჩვენს ჩამორჩენილ ხალხის მეურნეს? დიახაც გვყავანან, მაგრამ მათი დაქსაქსულობა, მათი ცალკ-ცალკე და კერძო მოქმედება ვერ სწვდება ჩვენი ქვეყნის სივრცეს, ვერ უწევს მის გულსა და ამიტომაც თუ სრულიად უნაყოფოდ არა, მცირე უმნიშვნელო ნაყოფიერებით კმაყოფილდება.
>
> საჭიროა, ვფიქრობთ, ამ პირთ შეკავშირება, მათ ცოდნა-გამოცდილების ერთ ლამპრად შეერთება, რომ სინათლე ამ ლამპრისა ძლიერის სხივით შეიჭრას ჩვენი ქვეყნის სიბნელეში და შეანათოს მეურნე გლეხის ოჯახის თვით გულში.
>
> ამ მიზნის მისაღწევად ქართველ მეურნეთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა სამეურნეო ჟურნალის გამოცემა, რომლის დანიშნულება იქნება მიაწოდოს ჩვენ ხალხს ადვილ გასაგებ, მარტივ ენით დაწერილი საჭირო ცნობები მეურნეობის ყოველ დარგიდან, შემოიკრიბოს თავის გარშემო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი მეურნენი და საერთო ძალით გაუძღვეს სოფლის მცხოვრებთა ეკონომიურ გაუმჯობესების საქმეს.

საინტერესოა თითქმის ყველა წერილი, ამ ნომერში მოთავსებული. საინტერესოა, მაგალითად, წერილები ე. იოსელიანისა, სვიმონ ხუნდაძისა, პ. ავერკინისა, ვ. მჭედლიშვილისა, გიორგი ნახუცრიშვილისა და სხვა.

საინტერესო აზრს არკვევს მევენახეობის შესახებ ვ. მჭედლიშვილი. ბევრის აზრით ჩვენში მევენახეობის და მეღვინეობის ასაღორძინებლად, საჭიროა ძველი გამოცდილება დავივიწყოთ და ევროპიდან ყველაფერი ბრმად გადმოვიღოთ. ავტორი ამბობს:

> არ მგონია, მკითხველო, რომ რაიმე ვამბობთ: მამაპაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ხელი მევენახეობისა და მეღვინეობისა დღეს შეცვლას თხოულობს, რომ დღეს რუსეთისა და ევროპიელების მევენახეობა და მეღვინეობა ჩვენსაზე მაღლა სდგას, ამით იმის თქმა გვინდოდეს, ვითომ ჩვენ უნდა სრულიად უარვყოთ ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა და სახელით შემოვიღოთ ის, რაც სხვას, თუნდაც ჩვენზე დაწინაურებულ ხალხსა, აქვთ. სრულიადაც არა. ის ცოდნა-გამოცდილება მეღვინეობაში და მევენახეობაში, რომელიც ჩვენა გვაქვს, მეტად მთელი საუნჯეა ...ნობის პრაქტიკა-გამოცდილებისა და ამიტომ მეტად ძვირფასი საუნჯეა ჩვენთვის, როგორც მასალა ამ დარგთა წარმატებისათვის. დიდი შეცდომა იქნება რომ ევროპიულად დავაყენოთ ღვინო, იქაურად გავსხლათ ვაზი, იქაური ჯიში ვაზისა გავამრავლოთ და ჩვენებურად ღვინის დაყენება, ვაზის გასხვლა, ჩვენებური ვაზები სრულიად მოვსპოთ. ასეთ წამამვას არც პრაქტიკული და არც თეორიული საფუძველი აქვს და თუ ვისმე ოდესმე გამოუთქვამს მომხრეობა ასეთი წამამვისა, კარჩაკეტილში მოუფიქრებია მას ეს აზრი და არავითარი დამოკიდებულება არ ქონია ჩვენს მეღვინეობასთან.
>
> ვაზის მოვლაც და ღვინის დაყენებაც დაკავშირებულია ჰავასთან, ნიადაგთან და ყველა იმ ბუნების პირობებთან, რომელშიაც იზრდება ვაზი და უკეთდება ყურძენს წვენი.
>
> ძირიანად შეცვლა ერთისა, თუ არ შეიცვალა მეორე, შეუძლებელია. და არც, ღვთის მადლით, საჭიროა, რომ კიდევაც შეიძლებოდეს, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივი პირობების შეცვლა, რადგან სიმშვენიერე და ჰარმონია ამ ბუნებისა ყველასაგან ცნობილია და მოსაწონი.
>
> აქაურ ჰავას და მიწაწყალს მუდამ მალულად შექმნან მოსავალი ყოველი ღირსებით უმაღლესი ხარისხისა, ოღონდ ხელი შეუწყოს ცოდნა-გამოცდილებით შეიარაღებულმა ადამიანმა. მაგრამ არა. ჩვენ სხვაფრივ ვართ მარჯვენი. რაც გვაქვს, იმის დაწუნება და უკუ გდება, მაგიერ გაუმჯობესებისა, რაც ცოდნასა და გამოცდილებას თხოულობს, ადვილად გვესერხება.

დასასრულ, არ შეგვიძლია სავსებით არ მოვიყვანოთ მ. მამულაშვილის პატარა წერილი „ჩემი შრომის პირველი ნაბიჯი მცხეთაში.“ წერილიდანა სჩანს, რა შეუძლიან ცოდნასა და შრომას. ამ ცოდნისა და შრომის წყალობაა, რომ მარტო 300 ოთხკუთხ საჟენ მიწით, ესე იგი ქცევის მესამედით, მთელი სამი ოჯახი ინახავს თავს.

> სწავლის დამთავრების შემდეგ (მე დავასრულე კურსი ტფილისის სამაღლნო სასწავლებელში) ერთად ერთი სურვილი ჩემი ის იყო, რომ ჩემი ბაღი გამეშენებინა. შეუძლებლობის გამო დიდხანს ვერ ვკიდებდი ხელს ამ საქმეს. ბოლოს გადავწყვიტე: უნდა დავკმაყოფილდე იმ პატარა ადგილს, რომელიც მცხეთაში მაქვს—სულ 300 კვ. საჟ. მიწა მქონდა.
>
> თუმცა ვიცოდი, რომ, როცა რომელიმე სამეურნეო საქმეს იწყობს კაცი, უწინარეს ყოვლისა ჯერ უნდა შესაფერი ადგილი აარჩიოს, მაგრამ 300 კვ. საჟენი მიწის პატრონს, ისიც ერთ ალაგს, რა არჩევანში შემეძლო შევსულიყავი. სურვილი კი ისეთი მქონდა, რომ კლდე რომ ყოფილიყო, იმასაც დანგრევას დავუწყებდი, ნანგრევზედ ბაღის გასაშენებლად. დავიწყე შრომა. არ დავერიდე არც მცხეთის ქარს, არც იქაურ გოლვას, რომელიც სამინლად აფუჭებს ყველა მცენარეს, რადგან ურწყავი ადგილებია და სიცხე-პაპანაქება კი დიდი იცის ზაფხულში. არ შემუშინდა სეტყვისაც, რომელმაც აჯი მაჩვენა თავისი ძალა: მეორე წელსვე მიწასთან გაასწორა მთელი ჩემი ბაღი; ყოველი მცენარე, რომელიც კი ამოსვიდოდა ბაღში, გაინადგურა. ამის მნახველს თავზარი დამეცა. პირველად დაწყობილი საქმე და თან უფულობა და ყოველნაირი უსახსრობა. რადის რა უნდა მომესწრო მეთქი, ვფიქრობდი დაღონებული... როცა ჯავრი გადამეყარა, გულს, ხელახლად შევუდექი საქმეს. ბაღი თანდათან იზრდებოდა. მასთან ერთად იზრდებოდა ჩემი აზრებიც, მემატებოდა სურვილი შრომის გაუმჯობესებისა. მცხეთაში, ამ მშვენიერ ძველს სატახტო ქალაქში, რომლის სიმშვენიერეს სტკენ და ახურავებენ მის გარშემორტყმული მთები და კლდეები, არაგვი და მტკვარი, სადაც აქამომდე არც ერთი ყვავილის ბაღი არ იყო, ახალი სიცოცხლე, ახალი წარმოება ყვავდებოდა. დიდს გაჭირვებაში და ტანჯვაში ვიმყოფებოდით, მაგრამ ჩვენს ნაშრომს რომ ვხედავდით, სიცოცხლე გვემატებოდა. გვწამდა, რომ ჩვენი საქმე უეჭველად ნაყოფს მოგვცემდა, დაგვაჯილდოებდა...
>
> აყვავდა ჩვენ ბაღში ვარდები. დავიწყეთ ვარდის კონების კეთება. ეს კონები მიგვქონდა რკინის გზის სადგურზე და ვყიდდით. შემოსავლით ვცხოვრობდით ჩვენც და ჩვენი ბაღიც.
>
> თანდათან შევიძინეთ ყველა სხვა საჭირო მცენარეები, გავმართეთ სათბურები, სადაც ვზრდიდით მცენარეებს და ვაკეთებდით ნამყნებს. გაჩაღდა ჩვენი საქმე ამ პატარა ბაღმა შეგვაერთა ერთ ახრად, ერთ შრომად ოჯახად გარდაგვაქცია მთელი სამი ოჯახი. ჩვენი საქმე გაფართოვდა. გახსენით, ეს მეორე წელიწადია, თბილისში, თამამშევის ქარვასლაში ყვავილის მაღაზია „სოლეილი დორ.“ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებაც და ჩვენი თავიც გირჩინოთ ამით.


## მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის

გამგეობა იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე 24 მუხლისა, საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, მაისის 27.

**განსახილველი საგნები:**

1. ამხანაგობის დამოკიდებულების მოსპობა ბერლინის მარგან-სინდიკატთან.
2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.
3. ამხანაგობის ქონების დანაწილება. (6—ნ.—4)

კვირას, 17 მაისს,
**ქართულ თეატრში**

## პეტრე გელეიშვილი

წაიკითხავს ქართულად ლექციას:

## „ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“

**ფასები შაურიდან 20 კაპეიკამდე.**

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და „დროების“ და „ჩვენი აზრის“ რედაქციებში.

**დასაწყისი სწორედ 1 საათზე.** (3—1)

## შემთხვევით იყიდება

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გროზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე“**-ში. (4—213—4)

**წარმოდგენა № 2.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 2.**

კვირას, 17 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ქ. ნ. დავითაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

## ლალატი

ისტ. დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა თარ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს ქ. ნ. **დავითაშვილი,** ანანიასას—**კ. მესხი,** ოთარბეგისას—**ვ. გუნია,** სულეიმან-ხანისას—**ვ. შალიკაშვილი.**

მონაწილეობას მიიღებს მთელი ამხანაგობა.

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.**

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ორშაბათს 18 მაისს, ვერაზე **„ედემი“-ს** ბაღში **კნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ გამართავს

## „მაისობა-არიფანა“-ს

რადგან ყველა სანოვაგე შემომწირველთაგან შინვეა დამზადებული—ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე რესტორანებში, სასმელების ფასიც ზომიერია. იმღერებს ფილარმონიულ საზოგადოების **მომღერალთა გუნდი,** დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი. გამართულ იქნება პატარა ლატარია-ალეგრი, ნიშანში თოფის სროლა, „პტი-შვო“ და სხვა და სხვა გასართობი. ცეკვა ქართული და ევროპიული.

მსურველთათვის ერევნის მოედნიდან ივლიან **ავტომობილები.**

ბაღი და ბუფეტი ღია იქნება შუადღის 1 საათიდან. სურვილისამებრ ცალ-ცალკე სუფრა იქნება გაშლილი და საერთოც.

ბაღში შესვლის ფასი 30 კაპ., ხოლო ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კაპ.

ბილეთები იყიდება მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძესთან (გრიბოედოვის ქუჩა. № 10), სამუსიკო სკოლაში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 4) და „მაისობა-არიფანა“-ს დღეს ბაღის კარებში. (5—უ.—4)

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მაისი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ექვს კაცს, მათ შორის გადაყენებულ სულთნის პირველ სასულიერო მრჩეველს ჯევერ-ალას, არა პირდაპირ გადასახადთა სამმართველოს დირექტორის თანაშემწეს თევფიკ-ბეის, სახელმწიფო საბჭოს წევრს ტაირს, პოლკოვნიკ ხალიდის და გაზეთ „ვოლკანის" თანამშრომელს ლუტფის. დააპატიმრეს მაჰმადიანთა ასოციაციის მთავარი ორგანიზატორი, „ვოლკანის" რედაქტორ-გამომცემელი რახდეტი.

**სტამბოლი.** სასამართლომ გაამართლა აბდულ-ჰამიდის საჭურისთუხუცესი ნადირ-აღა, მისივე ლეიბექიმი ნურ-ედინი, 63 აფიცერი, 4 ხოჯა და 37 სამოქალაქო მოხელე. სასამართლომ ყოველივე უფლება და ჩინი ჩამოართვა და გადასახლება გადაუწყვიტა კუნძულებზე გაგზავნილ 9 კაცს, მათ შორის, სამხედრო მინისტრად ნამყოფს რიზა ფაშას, საზღვაო მინისტრად ნამყოფს ჰასარდამს, არტილერიის უფროსად ნამყოფს ზოკკი-ფაშას, შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფს მემდუხს, ყოფილ სტატს-სეკრეტარს ტაქსან-ფაშას და კამერგერს რაგიბ-ფაშას. ამას გარდა სასამართლომ მათ ქონებას კონფისკაცია უყო. სასამართლოს განაჩენი დაამტკიცეს.

ოფიციალური გაზეთი სწერს, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ დამასკში არეულობა იყოო.

**სალონიკი.** 12 მაისს ნოვო-ბაზრიდან მოიყვანეს 27 ალბანელი წარჩინებული და მათი მეთაური აკიფ-ბეი. ამათ ძველი რეჟიმის აღდგენის განზრახვას აბრალებენ. ამას გარდა, სანჯაყში დააპატიმრეს კიდევ ბევრნი. ამათაც აქ მოიყვანენ. ჯევად-ფაშა წესიერების აღსადგენად მხნე ზომებს იღებს. ჯევად-ფაშამ უბრძანა ალბანელ მეთაურებს, სოფლად სახლებში დატანებული სათოფოები ამოაშენონ და მათ მაგივრად ფანჯრები გააკეთონ, რომ სახლები სიმაგრეებად არ გამოიყენონ. ვინც ამას არ აასრულებს, ჯევად-ფაშა სახლების დანგრევით ემუქრება. ჯევად-ფაშა ნიშნავს სასამართლოებს, აწესრიგებს ადმინისტრაციას და ჟანდარმერიას და ჰკრეფავს გადასახადებს. ალბანელები ხმის ამოუღებლად ემორჩილებიან ჯევად-ფაშის ბრძანებებს. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ალბანიაში მალე მშვიდობიანობა დამყარდება. კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ალბანიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად არაფერს დაერიდოს, თუნდაც ამისთვის მთელი ალბანიის სისხლით მორწყვაც კი დასჭირდეს. საქმის ეხლანდელი მიმდინარეობა ხელს უწყობს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს თავისი განზრახვა შეასრულოს.

**ბერლინი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, აბდულ-ჰამიდს ამ რამდენიმე დღის წინად, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ძალდატანებით, ბერლინის ერთ ბანკში წერილი გამოუგზავნია და უთხოვნია, რომ ბანკმა მისი ფული, ამ ბანკში შენახული, ოსმალეთის ახალ მთავრობას გადასცეს. წერილი ოსმალურ და ფრანგულ ენებზეა დაწერილი. ბანკს გადაწყვეტილი აქვს, სტამბოლში გაჰგზავნოს თავისი რწმუნებული, რომელიც ეცდება, პირადად ინახულოს ყოფილი სულთანი და გამოჰკითხოს, ხომ არავინ აიძულა, წერილი დაეწერათ. თუ აბდულ-ჰამიდი განაცხადებს, რომ ჩემი ნებით დავწერე წერილიო, ბანკი გადასცემს ახალ მთავრობას ფულს.

## საზღვარ-გარედ.

**კოპენჰაგენი.** ახალი პარლამენტი შესდგება შემდეგ ჯგუფებისაგან: მემარცხენე ჯგუფი, ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტის ხრისტენსენის მომხრე—24 კაცი, სოციალ-დემოკრატი—24, მემარცხენე ჯგუფი, ეხლანდელ მინისტრ-პრეზიდენტის ნეერგარდის მომხრე—19, მემარჯვენე—19, რადიკალი—15, უპარტიო—11. ამ უკანასკნელთაგან 6 კაცი ხრისტენსენის პარტიას მიემხრობა, სამი ნეერგარდისას, 2 რადიკალებისას.

**მარსელი.** მეზღვაურთა გაფიცვა კვლავ გრძელდება. მოვიდა ოთხი ნაღ მოსანი ალჟირსა, ტუნისსა და კორსიკას შორის ფოსტის საზიდად.

## რუსეთი

**კრასნოიარსკი.** მინდელში (კრასნოიარსკის მაზრაში) ცეცხლი გაჩნდა და სოფლის ნახევარი სულ გადაიწვა. ხალხი არ დაღუპულა.

**მოსკოვი.** მოსკოვის რკინის გზის კავშირის საქმის გამო სასამართლო პალატამ 12 ბრალდებულს მიუსაჯა ციხე 6 თვიდან 3 წლამდე.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი 18 ფოსტა-ტელეგრაფის მოხელისა, რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გამო პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა: ერთს—კატორგა, დანარჩენებს—ციხე სხვა და სხვა ვადით. სენატმა ასევე უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი ნიჟნი ნოვგოროდის გიმნაზიელის კრილოვისა, რომელსაც სასამართლომ წელიწად ნახევრით დაპატიმრება გადაუწყვიტა სასწავლებელში პეტარდის აფეთქებისათვის.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**კანონ-პროექტი სტაროობრიადცების შესახებ.**

13 მაისს სათათბირომ განაგრძო სტაროობრიადცების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. ეს კანონ-პროექტი, როგორც გუშინაცა ვწერდით, დიდ შეტაკებასა და ცხარე კამათს იწვევს. ახლავე აშკარა ხდება, რომ მთავრობა და მემარჯვენენი დამარცხდებიან, ხოლო რა შედეგი მოჰყვება ამას, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

მემარჯვენენი დიდის თავგამოდებით ლაპარაკობენ იმ დამატებების წინააღმდეგ, რომელიც კომისიამ შეიტანა კანონ-პროექტში და რომელსაც მხარს უჭერენ ოქტომბრისტები და მთელი ოპოზიცია. იმათ რომ ყური დაუგდოს კაცმა, ეგონება ამ ცვლილებების მიღებით მთელი რუსეთი დაიღუპება და მართლმადიდებლობა პირქვე დაემხობა. დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია ტიმოშკინის სიტყვამ. თითქმის მთელი სათათბირო ხარხარებდა ამ დეპუტატის სისულელეებზე, დეპუტატისა, რომელიც ამიერ-კავკასიის რუსებმა გაჰგზავნეს სათათბიროს, როგორც უჭკვიანესი და უპირველესი კაცი თავიანთ წრიდან.

ამ სხდომაზე უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა სტაროობრიადეცმა გულკინმა. გულკინი ტიროდა და ისე ლაპარაკობდა. გაიხსენა მახლობელი დრო, როდესაც სტანჯავდნენ, აწამებდნენ და ციხეებში ალპობდნენ სტაროობრიადცების მეთაურებს, მათ მოძღვრებს. ბოლოს ორატორმა მადლობა გადაუხადა სათათბიროს იმ ნაწილს, რომელიც ასეთის ყურადღებით მოეკიდა სტაროობრიადცების შესახებ კანონ-პროექტს.

დასასრულ, პატარა „ინციდენტიც" მოხდა. სათბთბიროს მასხარამ პურიშკევიჩმა გრაფ უვაროვს „დურაკი" დაუძახა. თავმჯდომარის წინადადებით, სათათბირომ პურიშკევიჩი ამისთვის ერთი დღით სათათბიროდან დაითხოვა. წასვლის დროს პურიშკევიჩმა ხმა მაღლა დაიძახა—ღამე მშვიდობისაო. თავმჯდომარემ, თითქოს პირველად გაეგონოს პურიშკევისაგან ასეთი რამეები, ძალიან იწყინა ეს და წინადადება მისცა სათათბიროს, მეორე დღითაც დაითხოვოს პურიშკევიჩი სათათბიროდან. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

# ჭიათურის საქმეები

28 აპრილს ჭიათურაში მოხდა შავი ქვის მრეწველთა კერძო კრება. ამ კერძო კრებას თათბირი ჰქონდა მრეწველთათვის ფრიად საყურადღებო საქმეების შესახებ. აი, ეს საქმეები: გადასახადი მშენებლ[illegible]ბის კასის სასარგებლოდ, გადასახადი ფოთის ქალაქის სასარგებლოდ, მორიგ კრების მოწვევა და სხვა.

გულ-ახდილად უნდა ვთქვათ, რომ ასეთი კრება მრეწველებისა ჯერ არ გვინახავს. ამ კრებაზე შავი ქვის მრეწველებმა საუცხოოდ დაამტკიცეს, რომ მათ საქმის მდგომარეობა მთელის სიგძე-სიგანით აქვთ გაზომილი.

შავი ქვის მრეწველთა კრების საქმეები დღეს დიდ კრიზისს განიცდიან. ეს კრიზისი გამოიწვია მარგანეცის მრეწველობის არა დროებითმა და გარდამავალმა დაცემამ, არამედ იმ „სამარცხვინო ხრიკებით" შეიარაღებულმა ბრძოლამ, რომელიც გამოუცხადეს შავი ქვის მრეწველთა კრების უმრავლესობას უცხოელმა ჩარჩ-ექსპორტერებმა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მფარველობით. ამ ვაჟბატონებს ხელი მისცეს იმ ანტისაზოგადოებრივმა ელემენტებმა, რომელთა მეთაურობაც იკისრეს ჭიათურაში დაარსებულმა მარგანეცის მრეწველთა „ასსოციაციის" ბიუროს ხელმძღვანელებმა. „ასსოციაციის" დაუახლოვდნენ ისეთი პირები, რომელთაც საბჭოსთან რაიმე უკმაყოფილება აქვთ. მათ სათავეში სდგას ბიუროს თავმჯდომარე ბ-ნი გამრეკელოვი, რომელიც ამას წინად დათხოვნილ იქმნა საბჭოს სამსახურიდან.

კრებაზე ერთხელ კიდევ გამოირკვა ნათლად, რომ ეს ელემენტები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ შესცვალონ დღევანდელი ხასიათი შავი ქვის მრეწველთა კრებისა და იმის წარმომადგენელთა ორგანოს მოქმედებისა და მიმართულებისა. მათი სურვილია, ეს კრება და მისი შემოსავალი (გატანილ შავ-ქვაზე დადებული გადასახადი) გაჰხადონ მარტო უცხოელ-ექსპორტერთა მადის დასაკმაყოფილებელ წყაროდ. ექსპორტერების მადის სხვა და სხვა გვარ ნიადაგსა და საფუძველს ებღაუჭებიან ის საზოგადოებრივი ავანტიურისტები, რომელნიც შიგა და შიგ არიან ჩაქსოვილნი ამა თუ იმ ჯგუფში.

ზემოხსენებულ კრებაზე ნათლად გამოირკვა, რომ „მრეწველთ სავსებითა აქვთ შეგნებული დღევანდელი სახიფათო მდგომარეობა მათის საქმეებისა: კარგად ესმით, რომ უცხოელ ექსპორტერებს არავითარი კავშირი არა აქვთ ადგილობრივ ინტერესთან და ამიტომაცა მათთვის ადგილობრივი საქმეები ჩირადაც არა ღირს. ამის შემგნები მრეწველნი ივიწყებენ ყოველსავე პირად უსიამოვნობასა და კინკლაობას, რომელიც აუცილებელია ისეთს დიდს დაწესებულებაში, როგორიც არის მრეწველთა კრება, და საზოგადო გაჭირვებას ერთ სულოვნად უხვდებიან. შეუდრეკელი დარჩა მხოლოდ „ასსოციაციის" მეთაური, რომელიც ადგილობრივმა წვრილმა მრეწველებმა იმიტომ მიიწვიეს, რომ ისინი შეაერთოს და ამგვარად შეძლება მისცეს ეკონომიურად გაუმკლავდნენ ექსპორტერების გაუმაძღრობას. ამ ვაჟბატონმა კრებაზე განაცხადა, არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს ექსპორტერებთანაო, ერთ აზრს ვემსახურებით და ერთის სურვილითა ვართ გამსჭვალულნიო. მიუხედავად ასეთის ქათინაურისა, ექსპორტერების წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა „პრიკაზჩიკმა" ბ-ნმა პერსენაკმა ურცხვად მოითხოვა, რომ მრეწველთა კრება მოწვეულ იქმნას ისეთის სიით, რომელიც ბატონობასა და გამგებლობას ათიოდე უცხოელ ექსპორტერს აძლევს *). ამგვარის კრების შედეგი კი ის იქმნება, რომ მთელი საქმეები ხელში ჩაუვარდებათ უცხო კაცებს, ხოლო ადგილობრივ ყოველგვარ საჭიროებისათვის და მათ შორის „უვიც ქართველთა" განათლებისათვის (დეპუტატ მარკოვ მეორის სტილი) თანხა მოისპობა. ხსენებულ „ევროპიელმა" მუქარით მიმართა კრებას, თუ ჩვენს სურვილს წინააღუდგებით და კრებას არ მოიწვევთ იმ სისტემით, რომელიც ჩვენ გვსურს, მივმართავთ „სხვა ღონეს", რომლის „ნაყოფიერება" უკვე გამოცდილი გვაქვს, იმ „ღონეს", რომელსაც „მოხერხებული" კაცები ხმარობენ ხოლმეო, ხოლო როდესაც გ. ზდანოვიჩმა შენიშნა, რომ მაგვარ საშუალებას ისეთი კაცი მიმართავს ხოლმე, [illegible] რაძემ და აბაშიძემ კი ფაქტები მოიყვანეს ბ-ნ პერსენაკის სამარცხვინო „ხერხიანობისა", კრებამ ერთხმად თანაგრძნობა გამოუცხადა პირველთ. ბ-ნმა პერსენაკმა უკვე ჩვეულებრივი „იარაღი" იხმარა და ადმინისტრაციასა და კონსულებს შეატყობინა, მოგვეხმარეთ, თორემ საბჭოს წევრები ხალხს აღელვებენ ჩვენს წინააღმდეგ და ცხოვრებას გვიმწარებენო. ამგვარად, ექსპორტერებს უნდათ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირონ და ყოველივე საზიზღარი მოქმედება ჭალასრულონ ისე, რომ ვერც ერთმა კაცმაც ვერ გაჰბედოს ამ საზიზღრობის მხილება, ვერავინ ვერ გაჰბედოს ადგილობრივ ინტერესების კანონიერად დაცვა.

ამ ინციდენტის შემდეგ „ასოციაციის" ბიუროს თავმჯდომარის ბედი საზოგადოდ გადაწყდა. ცხადად დაინახეს პერსენაკისთანა ვაჟბატონების ქათინაურები. ადგილობრივ მრეწველთა ინტერესთან ასეთ ადამიანს აღარაფერი საერთო აღარა აქვს და ამიტომაც „ასოციაცია", რომელიც ვითომ ადგილობრივ მრეწველთა პატრონი და მოამაგეა, რიყეზე გარიყული დარჩა და ბიუროს თავმჯდომარეს (რომელიც თურმე საბჭოს გაცამტვერებასაც კი იქადდა) სამი კაცი გამოუჩნდა მომხრე, ისიც მეტად სუსტი მომხრე.

კრებამ საბჭო სრულის თანაგრძნობითა და ნდობით დააჯილდოვა, ვინაიდან ნათლად დაინახა, რომ ადგილობრივ მრეწველთა ინტერესების დამცველი საბჭოა და მისი თავმჯდომარე და არა „ასოციაციის" ბიუროს მმართველნი, რომელნიც მრეწველობის დაუძინებელ მტრებს ეხმარება და მხარს აძლევს დაუსრულებელ ინტრიგის ქსელის დაგებაში. კრებამ ერთხმად მოიწონა საბჭოს წინადადებები და დაადგინა: 1. მიანდოს საბჭოს შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა მოწვეულ იქმნას შავი ქვის მრეწველთა კრება იმ სახით, რომ ამ კრებაში მონაწილეობა მიიღოს ყველა მრეწველმა, რომელიც მრეწველობას ეწევა ნორმალურ პირობებში, ე. ი. შესაძლოა თუ არა კრებაში მონაწილეობის ნება მიეცეთ

*) შავი ქვის მრეწველთა კრების დებულების თანახმად, კრებაზე მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის მწარმოებელნი რომელთაც წლის განმავლობაში დაუმუშავებიათ სათანადო რაოდენობა მარგანეცისა მადნებში ან და გაუტანიათ რკინის გზით. უკანასკნელ წელს კი (1908) უცნაურის კრიზისის გამო, შავი ქვა თითქმის არავის დაუმუშავებია და გაუტანია მხოლოდ რამდენსამე უცხოელ ექსპორტერებს. მამასადამე, მარტო ამათ ექნებათ ხმა.

# ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

**ტრაგიზმი ილია ჭავჭავაძის პოემებში: „განდეგილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული".**

12.*)

კაცობრიობას უფრო ფანტაზია ხელმძღვანელობს ვიდრე გონება, სთქვა ცნობილმა დანიელმა კრიტიკოსმა გეორგ ბრანდესმა. და მართლაც; კულტურის ისტორიული განვითარება ჯეროვანს საფუძველს აძლევს ამ აზრს: თითქმის ყოველს ახალს ნაბიჯს კაცობრიობა უწინ თავის შემოქმედს ფანტაზიაში სდგამს წინ, რათა შემდეგ ის სინამდვილეშიაც განახორციელოს; ყოველს ცვლილებას, თვით უწვრილმანესს და უფხიზლესს საძირკვლად უდევს ინდივიდუალური ან სოციალური ფანტაზიის მოქმედება და ნაყოფიერება, რომელიც თავისუფალ და გაბედულ კომბინაციის წყალობით ცხოვრებაში ახალს ფორმებს იწვევს; ყოველი მეცნიერული ჭეშმარიტება ან თეორია, ყოველი ტეხნიკური აღმოჩენა და, მით უმეტეს, ყოველი ხელოვნური ნაწარმოები მისი შემქმნელის ოცნებაში სცხოვრობს და მწიფდება, მის იდეალურ აღმაფრენით საზრდოობს, სანამ ჩვეულებრივ სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხავდეს და საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდეს. პოლიტიკური და სოციალური ამბოხებაც კი პირველად არსებულ საზოგადოებრივ წყობილებით უკმაყოფილოთა ფანტაზიაში ხდება: აჯანყებულნი ჯერ მშვენიერს ოცნებაშივე გადიან იმ გზას, რომელიც შემდეგ მწარე სინამდვილეში ცეცხლითა და მახვილით უნდა გაიკაფონ.

გასაკვირალი არ არის, რომ კაცობრიობაზე სწორედ ისინი აჩენდნენ უფრო ღრმა და ხანგრძლივს გავლენას, ვინც იმის ფანტაზიას უწოდებდა და ასაზრდოებდა. ამ მხრივ ქრისტეს მიერ დატოვებულმა კვალმა ყველას გადააჭარბა: მისი ცხოვრების, მოქმედების და მოძღვრების სურათები დღესაც კი ანაყოფიერებენ კაცობრიობის იმ ნაწილის ესთეტიურს ფანტაზიას, რომელიც ხშირად მოკლებულია ყოველს სარწმუნოებრივს გრძნობას. გერმანელმა მხატვარმა მაქს კლინგერმა მშვენივრად დაგვისურათა ქრისტეს ეს მუდმივი სიახლოვე და განუშორებლობა ადამიანის შემოქმედს ოცნებობასთან, როცა მან თავის „ჯვარცმაზე" და „მწუხარებაზე" ქრისტეს მგლოვიარე ჰირისუფალთ შორის უდიდესი მუსიკალური გენიოსი—ბეეტჰოვენი დახატა. ძველს ბერძენთა შორის, ჰომეროსსა და კლასიკურ ტრაგედიებს შემქმნელთ გარდა, განსაკუთრებით პლატონმა იქონია ფანტაზიაზე ძლიერი გავლენა, რომელიც დღემდე გრძელდება და აცხოველებს ფილოსოფიურს აზროვნებას. შემდეგ ყველაზე მეტად დანტემ თავის „ღვთაებრივ კომედიით", სერვანტესმა და შექსპირმა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში—გოეტემ და ბაირონმა, რომანტიულმა სკოლამ საფრანგეთსა და გერმანიაში, ახალმა ლიტერატურამ რუსეთში, ფილოსოფიურ მოაზროვნეთა შორის რუსსომ დიდ რევოლიუციის მოღვაწეობით, გერმანელმა რომანტიკოსებმა (უწინარეს ყოვლისა ჰეგელმა), სოციალისტ-თეორეტიკოსებმა, პოლიტიკურ პიროვნებათა შორის განსაკუთრებით ნაპოლეონ პირველმა და ეროვნულ ბრძოლათა ზოგიერთა გმირებმა შესძლეს ფართო მასსების, ხშირად მთელის მოწინავე კაცობრიობის ფანტაზიის ამოძრავება და განაყოფიერება და ამით მასზე წაუშლელ სულიერ გავლენის დამჩნევა.

ქართველს მწერლებს შორის პოეტიურ ფანტაზიის ელემენტარულის სიძლიერით ყველას შეუდარებლად რუსთაველი სჭარბობს: „ვეფხვის ტყაოსანი" სხვა ბევრ ღირსების შორის უფრო იმითაა დიადი და მიუწდომელი, რომ იგი ფანტაზიის მოქმედებას განუსაზღვრელს ასპარეზს აძლევს, ბევრად უფრო ფართოს, ვიდრე, მაგ. გრძნობათა სიმდიდრეს და სხვა და სხვაობას. ამით აიხსნება ის განუზომელი და იშვიათი გავლენა, რომელიც ამ მგოსანმა იქონია მთელ ქართველ ერის ესთეტიურს ნიჭზე და მის კულტურულ თავისებურობის შენახვაზე და რომელიც ჩვენის აღორძინების ხანიდან განუწყვეტლივ გრძელდება დღევანდლამდე. ამ მხრივ ყველაზე მეტად შოთას მეცხრამეტე საუკუნეში ი. ჭავჭავაძე მიუახლოვდა, განსაკუთრებით თავის მოთხრობებსა და პოემებში, ქართულ ესთეტიური ფანტაზიის ამ უდიდეს ნაწარმოებებში.

არა გრძნობათა შემოქმედებაში სძევს ამ მგოსნის სიძლიერე: მისი სარბიელი სტიქიონური ფანტაზიაა და სწორედ ამ სარბიელზე გააშლევინა მან ფრთა თავის გენიოსურს ნიჭს. როგორც ლირიკოსი, იგი ბევრად დაბლა სდგას ბარათაშვილზე: თავის საუკეთესო ლირიკულს ლექსებში, როგორც, მაგალითად, „ყვარლის მთებს", „უცხოეთში", „სიზმარი", „ელეგია" („მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა"), „ალაზანს", „მწუხარება" და სხვაში, ის ბევრად უფრო მეტს საზრდოს აძლევს ფანტაზიას, ვიდრე გრძნობას; პირიქით, სადაც ის სცდილობს პირდაპირ, ფანტაზიის დაუხმარებლად გრძნობებზე იმოქმედოს, იგი შედარებით სუსტია და ყოველს შემთხვევაში თავისივე თავის სიმაღლეზე ვერ ადის. თუ ფანტაზიის შეხედულება პოეზიაში (ივსე როგორც მხატვრობასა და მუსიკაში გარეგნული შეხედულება: მზერა და სმენა) ფორმას იძლევა ესთეტიურ ნაწარმოებისთვის, ხოლო გრძნობები-შინაარსს, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხშირად მშვენიერი ფორმა სჭარბობს შინაარს, ისე როგორც ნ. ბარათაშვილის ლირიკაში, პირიქით, ხშირად მდიდარი შინაარსი ებრძვის, მაგრამ გამოხატულებას ვერ პოულობს ჩვეულებრივს ფორმებში და ამიტომ სხვა ენას, სხვა ფანტაზიას ეძებს: ეს უკანასკნელი იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც პოეტიურ აღფრთოვანების დროს გრძნობას ერთიანად, განუყოფლად ეძლევა, ჰგრძნობს გულუბრყვილოდ, თითქმის შეუგნებლად, ელემენტალურ ბუნებრივ სიძლიერით და ხშირად წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა ღრმა და კეთილშობილია მისი გრძნობები. სხვა დიდ ქართველ მგოსანთა შორის ამ ჯგუფს ეკუთვნიან დ. გურამიშვილი, რ. ერისთავი და ვაჟა-ფშაველა.[1]

სულ სხვაა ილია ჭავჭავაძე: არა გრძნობები ჰფლობენ მას, არამედ, პირიქით, თვით იგი ჰფლობს და ბატონობს თავის გრძნობებს; ის ერთსა და იმავე დროს ჰგრძნობს და თან აზროვნებს თავის გრძნობების შესახებ, ან ჰგრძნობს და ეთამაშება თავისსავე გრძნობებს, ან ჰგრძნობს და სცდილობს უფრო ღრმად, უფრო ორიგინალურად იგრძნოს; ამიტომ მისი ფსიხიური ენერგია სავსებით გრძნობებს არასოდეს არ ეკუთვნის, არამედ ყოველთვის მათს და აზროვნებასა ან მათსა და ნებისყოფას შუაა გაყოფილი. ამითვე აიხსნება მისი სისუსტე ლირიკაში და შეუდარებელი სიძლიერე ეპოსში.

როგორც ზევითაც გამოვარკვიეთ, ლირიკა გრძნობათა პირდაპირობით და უსაშუალობით განსხვავდება პოეზიის სხვა დარგებისაგან და ამითვე უახლოვდება მუსიკას და მხატვრობას: თითქო აქ გრძნობა პირდაპირ გარეშე წარმოდგენათა და ხშირად ფანტაზიის დაუხმარებლადაც სიტყვებში, ლექსთა წყობასა და რითმში იდის ისე, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებში იგი ტონებში, აკორდსა და მელოდიაში, ხოლო მხატვრულს ხელოვნებაში კი სურათში სძევს. ლირიკული ნაწარმოები მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებ საჭიროებს იგი თავის საზღვრებიდან გამოსვლას თავისსავე თავის გასაგებად, რაც უფრო ელემენტალურად ელაპარაკება იგი ადამიანის გრძნობებს; პირიქით უბადრუკია ის თანამედროვე დეკადენტური ლირიკა, რომელიც ემოციონალურ შემოქმედების სიღატაკეს იაფ-ფასიან ფილოსოფიით ფარავს და მკითხველისაგან თავის გასამართლებლად გაცვეთილს ცნებებს და ავადმყოფ ფანტაზიას ითხოვს. უდიდეს პოეტების—გოეტეს, ჰეინეს, მიუსეს, პუშკინის და სხვათა ლირიკა მოკლებულია არა თუ გარკვეულ ცნებებს, არამედ ხშირად ფანტაზიის სურათებსაც, ისევე როგორც, მაგალითად, განსაკუთრებით ბარათაშვილის „სული ობოლი", „ჩემი ლოცვა", „შევიშრობ ცრემლსა", „სულო ბოროტო", „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო", „ცის ფერს, ლურჯსა ფერს" და სხვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ აუწერელის სიძლიერით მოქმედებენ მკითხველის გრძნობებზე.

პირიქით საეპოსო ან დრამატიული ნაწარმოები მით უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო ფრთა გაშლილი და ჯან-საღია მასში შემო-

*) იხ. „დროება", N 103.

[1] ვაჟა-ფშაველას «შვლის ნუკრის ნაამბობი», ისევე როგორც თ. რაზიკაშვილის «ნიკორას ჩივილი» უმშვენიერესი მაგალითებია გულუბრყვილო, ყოველს სანტიმენტალობას მოკლებულ შემოქმედებისა.

მათ, რომელნიც ირიცხებიან 1907 წლის სიაში. ამ ცნობების შეკრების შემდეგ ხელახლა იქნება მოწვეული კერძო კრება მრეწველებისა იმის საბოლოოდ გადასაწყვეტად, მიიწვიონ წრეულს მრეწველთა მორიგი კრება თუ არა; 2. ერთხმად განაცხადა წინააღმდეგობა ფოთის საფუთო გადასახადის წინააღმდეგ (არ ვიცი, რა გუნებაზე დადგა „ასოციაციის“ ბიუროს თავმჯდომარე, რომელიც თურმე დიდ აგიტაციას ეწეოდა ამ გადასახადის სასარგებლოდ); 3. გამოირკვა რა ზდანოვიჩის დაწვრილებითი მოხსენებიდან ფინანსიური მდგომარეობა საბჭოს კასსისა, დაევალა საბჭოს, განაგრძოს შუამდგომლობა ამ კასსის სასარგებლოდ საფუთო გარდასახადის მომატების შესახებ და 4. იმ შემთხვევისათვის თუ მორიგი კრება ვერ იქმნება მოწვეული სხვა და სხვა მიზეზისა გამო, აირჩია კომისსია, რომელიც შესდგება ექვსის კაცისაგან (სამი ექსპორტერი, სამი ადგილობრივი მრეწველი) და რომელსაც დაავალა გაიცნოს საბჭოს ხარჯთაღრიცხვა და ეცადოს შეათანხმოს მოსალოდნელი შემოსავალი და გასავალი. სწორედ ამ კომისსიის არჩევნებში გამოიხატა შავი ქვის მრეწველთა განწყობილება მისის ინტერესების „დამცველად მოწვეულის“ „ასსოციაციის“ ბიუროს თავმჯდომარისადმი: მარტო ორმა კაცმა დაასახელა იგი ამ კომისსიის წევრად, ხოლო როცა კენჭის ყრაზე მიდგა საქმე (ხელის აწევით), ამ ორმა კაცმაც ვერ გაჰბედა ხელის აწევა, ვინაიდან ხედავდნენ თავიანთ საშინელს დამარცხებას. ექსპორტერები-კი მხოლოდ საბჭოს წინადადებით აირჩიეს, თორემ არც ისინი უნდოდათ გაერიათ საქმეში, პერსენაკის სიტყვების შემდეგ. საბჭომ მოისურვა მათი საქმეში გარევა იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გამოაშკარაოს საქვეყნოდ მათი „ევროპიელობა“ და მათი „სულის კვეთება“ და ისიც, თუ რა კაცებს ეგებიან ფეხ ქვეშ ის პირები, რომელთაც ერთის მხრით ქვეყნის პატრონად მოაქვთ თავი (ბ-ნ ნ. ნიკოლაძე), ხოლო მეორეს მხრით ვითომ და ადგილობრივ მწერლობის ინტერესების წარმომადგენელნი ბრძანდებიან („ასსოციაციის“ ბიუროს თავმჯდომარე).

სასიამოვნო იყო მეთქი ეს კრება, ვამბობ, იმით, რომ გამოიჩინა უნარი საქმის დინჯადა და გონიერად გამორკვევისა*.) **არა მრეწველი.**

*) აღარაფერს ვამბობთ ზდანოვიჩის იმ მოწინააღმდეგეთა შესახებ, რომელთ აზრიც „ჩვენის აზრის“ ფურცლებიდან „დროებამ“ გადმობეჭდა. ეს ვაჟბატონები ზდანოვიჩს „ფულის ფლანგვას“ აბრალებენ, ე. ი. იმას იმეორებენ, რასაც ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და მისი ალტერეგო დეპუტატი მარკოზი მეორე გაიძახიან urbi et orbi ჩვენ სწორედ დიდად გვაინტერესებს ეს დუეტი და სამიმართა, რომ მათ ერთსულობა და ერთგულობა შავი ქვის მრეწველთა საქმეების გარემამოდ დატრიალებულ ინტრიგებში ძალიან შორს არ წასულიყოს. საქმე სიპეტმეშია ამისი. ავ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირი.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. წიგნები, დავთრები და სხვა ნივთები პოლიციამ წაიღო. კავშირის კასაში ფულად თითქმის 1200 მანეთამდე იყო. ეს ფულიც წაიღეს და ხაზინას წარუდგინეს. კავშირის ყოფილმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნება მიეცეს მოიწვიოს მოსამსახურეთა კრება კავშირის საქმეთა ლიკვიდაციის შესახებ. ეს კრება სამშაბათს მოხდება. კავშირის ფულის შესახებ მოსამსახურენი სხვა და სხვა აზრისანი არიან: ერთნი ამბობენ, რომ ფული წევრთა შორის განაწილდესო, მეორენი—ფული გადაეცეს მოსამსახურეთა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობასაო, მესამენი—ფული მოსამსახურეთა დამხმარე ამხანაგობას მივცეთო. ეს საკითხი და საზოგადოდ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები სამშაბათის კრებაზე გადასწყდება.

✦ **„შრომის ბირჟის“ გახსნა.** დღეს, 15 მაისს, ტფილისში გახსნიან „შრომის ბირჟას“.

✦ **პროცესი „დაშნაკცუტიუნის“ პარტიისა.** „ბაკოში“ დაბეჭდილია: „რადგან ძალიან საძნელოა, რომ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის გამო ყველა დაპატიმრებული საქმის გამოსაძიებლად ნოვოჩერკასკში გაჰგზავნონ, ამიტომ, როგორც გავიგეთ, შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ამ საქმისთვის დაპატიმრებულთა საქმე ტფილისში გამოიძიონ. იმედი აქვთ, რომ ამ შუამდგომლობას შეიწყნარებენ და ტფილისში განსაკუთრებულ გამომძიებელს გამოჰგზავნიან“.

✦ **ახალი განკარგულება კატორგელების შესახებ.** საგუბერნიო საპატიმროს ზედამხედველს, მთავარ საპატიმროთა სამმართველოს ბრძანების თანახმად, გამოუცია განკარგულება, რომ კატორგელ ტუსაღთათვის მნახველებს შეუძლიანთ გ[illegible]ლოდ შაქარი, ჩაი და ფული. აკრძალულია ტანისამოსისა, ფეხსაცმელისა და სხვა ნივთების გადაცემა.

✦ **ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.** როგორც გუშინ ვწერდით, ადმინისტრაციამ სახალხო სახლს ნება არ მისცა წარმოედგინა ლ. ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ამის გამო სახალხო სახლის გამგეობამ გუბერნატორთან იჩივლა. „კასპი“-ს სიტყვით, გუბერნატორს ნება დაურთავს დასდგან ხსენებული პიესა.

✦ **წარმოდგენა.** გუშინ, 14 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართველ არტისტთა ამხანაგობამ წარმოადგინა ირეთელის მიერ ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. უმთავრეს ყურადღებას ქ-ნნი ჯავახიშვილისა და მდივანი იქცევდნენ. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. კარგი იქნება, წარმოდგენის დროს კარებს არ აღებდნენ, თორემ ბრახი-ბრუხში არა ისმის-რა ხოლმე.

✦ **ახალი რესტორანი.** გუშინ, 14 მაისს, სამრეწველო ამხანაგობა „იალბუზმა“ გახსნა და აკურთხა საამხანაგო რესტორანი „ამმა“. რესტორანი არსებობს გოლოვინის პროსპექტზე, არამიანცის სახლში, საარტისტო საზოგადოების შენობის გვერდით.

✦ **ნინოშვილის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულება.** ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ამგებ კომიტეტმა 13 მაისის სხდომაზე დაადგინა, 17 მაისს პანაშვიდი გადაიხადოს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყობა დილის 11 საათზე. ქართულ თეატრის დარბაზში პეტრე გელეშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულად: „ნინოშვილი და იმის დრო“. კომიტეტს მოუვიდა წერილები ქუთაისიდან და ჭიათურიდან. ითხოვენ ნინოშვილის წიგნაკებს. კომიტეტმა დაადგინა, გაუგზავნოს წიგნაკები 17 მაისისთვის, რომ პანაშვიდების გადახდის დროს ადგილობრივ განყოფილებათ საშუალება ჰქონდეთ წიგნაკები მიაწოდონ ხალხს. უნდა დაიბეჭდოს ღია ბარათები ნინოშვილის სურათით. წიგნაკები და ბარათები გაიყიდება პანაშვიდსა და ლექციაზე.

✦ **„ფაუსტი“.** რედაქციამ მიიღო ქართულად გადმოთარგმნილი გოეტეს უკვდავი პოემა „ფაუსტი“. თარგმანი ეკუთვნის პეტრე მირიანაშვილს. „ფაუსტი“ გამოსცა „შრომის“ ამხანაგობის სტამბამ. წიგნი თითქმის ხუთასამდე გვერდს შეიცავს და ღირს 1 მ. 25 კ.

✦ **სასინოდო კანტორის წევრი.** სასინოდო კანტორის წევრად, კავკასიიდან გაგზავნილი არქიმანდრიტი ამბროსის ადგილას, დანიშნავენ ან მოგილევის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს არქიმანდრიტს ნაზარის (ლეჟავა) ან მოწამეთის მონასტრის წინამძღვარს არქ. პიროსს (ოქროპირიძე). სასინოდო კანტორამ ორივე წარუდგინა სინოდს. (კ.).

✦ **პედაგოგიური კლასი.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ტფ. ქალთა საეპარქიო სასწავლებელში არსდება მეშვიდე პედაგოგიური კლასი.

✦ **ექიმი ტრიანდაფილიდისის მკვლელი.** როგორც „ბაკ. ნოვ“ ატყობინებენ, ოზურგეთში დაუპატიმრებიათ პროკოფი დოლიძე, რომელსაც ტრიანდაფილიდისის მკვლელობას აბრალებენ.

✦ 13 მაისს საღამოს 6 საათზე, თავი ჩამოიხრჩო ქუთაისის ქუჩაზე მცხოვრებმა (№ 14) ალექსანდრე კანდაკოვმა. მიზეზი ავადმყოფობა და უსახსრობა ყოფილა.

✦ 13 მაისს, დილის 9 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ივანე ბასილევის სახლს (ფედოსიევის ქ.) ცეცხლი მქრობელმა რაზმა ჩააქრო.

✦ 13 მაისს ოსმალეთის ქვეშევრდომმა ქალმა ქუმეშა ტოკმაჯიმ პოლიციას განუცხადა, რომ ნოვობაიაზეთის მაზრის მცხოვრებმა გლეხებმა არამ დილინიანცმა და მისმა საყვარელმა ნატალია ტოკმანჯიანმა სომხის სასაფლაოზე სასეირნოდ წამიყვანეს, იქ 800 მანეთი ამომაცალეს და სადღაც მიიმალნენო.

## ქუთაისი

✦ **სახალხო სახლი.** 24 მაისისათვის დანიშნულია ახლად დაარსებულ სახალხო უნივერსიტეტის წევრთა კრება. აირჩევენ გამგეობის წევრებს და სხვებს.

✦ **ნავთი იმერეთში.** ინჟინერმა ი. დადიანმა დაათვალიერა ბაღდადის ნავთის წყაროები. იმის აზრით, კარგი მომავალი მოელის ამ საქმეს, თუ, რასაკვირველია, კაპიტალისტებმა გული დაუდეს და ექსპლუატაციას მიჰყვეს ხელი.

✦ **გამოცდა ქართულ გიმნაზიის მოწაფეებისა.** წერითი გამოცდის შემდეგ ყველა 37 მოსწავლეს ქართულ გიმნაზიის უკანასკნელ კლასისას ნება დართეს ზეპირ გამოცდას შესდგომოდნენ. პირველი ზეპირი გამოცდა მოხდა 8 მაისს ისტორიიდან.

✦ **დასი.** ქუთაისის ქართული დასი სამოგზაუროთ წავიდა ბათუმს, ფოთს და სოხუმს.

✦ **ნინოშვილის ძეგლი.** ჭიათურიდან გვწერენ: ერთ თვეზე მეტია, რაც ჭიათურაში დაარსდა ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებლად ფულის მომგროვებელ ტფ. კომიტეტის განყოფილება. განყოფილება მოქმედებს ქ-ნ ნინო შარაშიძის თავმჯდომარეობით. წევრებად არიან ბ. სურგულაძე, მღ. ბესარიონ ვაშაძე, ნ. წუწუნავა და ა. ნაცვალაძე. 17 მაისისთვის დილის ათ საათზე ჭიათურის თეატრში დანიშნულია პანაშვიდი ნინოშვილის სულის მოსახსენებლად. განყოფილებამ კომიტეტისაგან გამოიწერა 200 ცალი „გოგია უიშვილი“-სა და „პალიოსტომის ტბა“-სი.

# ბიბლიოგრაფია

Tagebuch eines Wanderers Fon Arthur Leist, Dresden 1909.

ორიოდე თვის წინად დრეზდენში დაიბეჭდა ერთი ახალი წიგნი ჩვენში კარგად ცნობილის გერმანელ მწერლის ბ-ნ არტურ ლეისტისა ამ სათაურით: „მგზავრის დღიური“, რომლის აღნიშვნა ქართველ მკითხველებისთვისაც საინტერესოდ მიგვაჩნია.

თავის წიგნს ავტორი უძღვნის ცნობილს ქართველ ქველმოქმედს ბ-ნს დავით სარაჯიშვილს შემდეგის წარწერით: „ვუძღვნი გერმანულის ერთგულობითა და მეგობრობით ჩემს ძველს მეგობარს დავით სარაჯიშვილს, ქართულ მრეწველობის დამფუძნებელს, გერმანულ განათლებისა და მეცნიერების მეგობარს და საზოგადოებრივ სასარგებლო კულტურულ მუშაობის ძალოვანს დამხმარეს თავის სამშობლოში“.

წიგნში მოთავსებულია ავტორის შთაბეჭდილებანი პოლონეთის, იტალიის, ოსმალეთისა და საქართველოს შესახებ. დიდი ადგილი უჭირავს წიგნში ნახულ ქვეყნებისა და ბუნების მშვენიერების აღწერას, რაშიაც ავტორი ნამდვილი ხელოვანია, მაგრამ ამასთანავე თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ხალხის ზნე-ჩვეულებათა და ეროვნულ თვისებების აღწერასა და დახასიათებას. ამოვწერთ რამდენსამე სტრიქონს, რომელიც ჩვენ შეგვეხება. რასაკვირველია, მკითხველს წინდაწინვე შეუძლიან მიხვდეს, რომ ავტორი ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში სანუგეშოს ბევრს ვერას იპოვიდა...

საქმისა და შრომის მოყვარე გერმანელს, უეჭველია, თვალში უნდა შესჩხირებოდა ჩვენი მთავარი ჭირი,—უსაქმურობა და უბარაქობა, და ავტორიც უმთავრესად სწორედ ამ ჩვენს საერო სენს ასწერს განმეორებით რამდენსამე ადგილას.

„სწორედ უცნაური ჯურის ადამიანია იმერელი,—ამბობს იგი იმ თავში, სადაც იმერეთში მგზავრობა აქვს აწერილი.—იგია მარდი, თავმოყვარე, ნიჭიერი და ყოველგვარ საქმის ადვილად დამწყები, მაგრამ ამასთანავე ზარმაცი და მოქმედებაში სიმტკიცეს სრულიად მოკლებული. თვალთმაქცობა და სიამოვნებისა და ტყუილების სიყვარული ყოველ იმერლის განუშორებელი თვისებაა, და ქუთაისი, ეს მშვენიერ ადგილას გაშენებული ქალაქი, ნამდვილი ბუდეა უსაქმურების, ხრიკების ოსტატების, მუქთამჭამლების, ამპარტავნებისა და მატყუარების. დიდ ძალი ნიჭი ადამიანებისა აქ სრულიად ფუჭად იკარგება, რადგან იმერელი თავის ჭკუა-გონებას ადვილ მოგებისა და სიამოვნების ძებნას ანდომებს და იმაზე კი ნაკლებ ფიქრობს, რომ თავისი გონებრივი ძალა და მოხერხება ნაყოფიერ შრომას მოახმაროს“.

მეორე ადგილას ავტორი სწერს კახეთის შესახებ: „ხალხი აქ მხიარული და სტუმართ-მოყვარეა, როგორც, საზოგადოდ, ყველა ქართველი, მაგრამ ამასთანავე ზარმაცი, შრომის მოძულე, მჩატე და ბედოვლათი. ბუნების სიუხვის მიუხედავად, ხალხი აქ უფრო ღარიბია, ვიდრე შეძლებული. სიმდიდრე ისე გაურბის ქართველს, როგორადაც მტერს. თუ რაიმე შემთხვევით ან ბედის-წერით ქართველს სიმდიდრე შეუვარდა სახლში, მაშინვე გარედ გააგდებს თავის ბედოვლათობითა და მოუვლელობით, ხოლო ახალ სიმდიდრის საშოვნად მას არც მისწრაფება აქვს საკმაოდ და არც მომჭირნეობა. ქართველ თავად-აზნაურებს, რომელნიც აქ მრავლად არიან, ძველი დროის გადმონაცემი ზნე ვერ მოუშორებიათ; თუმცა სწავლა-განათლების ნიჭი აქვთ და ხასიათის მიმზიდველი თვისებებიც არ აკლიათ, მაგრამ კულტურულ ცხოვრების განვითარების შეგნება მაინც ვერ შეუთვისებიათ. რასაკვირველია, იმათ კარგად იციან მაღალ კულტურის ფასი და მნიშვნელობა, მაგრამ ამისთვის გარჯა ეზარებათ და უნდათ ეს კულტურა მათ საჩუქრად მიერთვას. მთლად კახეთი აყვავებული ბაღი გახდება, მცხოვრებნი რომ შრომას გაარ-სამკეცებდნენ და შენაძენის შენახვას რომ ისწავლიდნენ. მაგრამ ქართველების უმრავლესობა ამ მცნებას აღიარებს: „ცოტა მუშაობა და ბევრი სიამოვნება!“..

სამწუხაროდ, სრული სიმართლეა...

შემდეგს სტრიქონებში ავტორს კიდევ უფრო გარკვევით და სრულად აქვს გამოთქმული იგივე დაკვირვება.

„1800 წლამდის—განაგრძობს იგი—ქართველი ხალხი თავის ცხოვრების წესით საშუალო საუკუნეების ხალხს წარმოადგენდა. თითქმის ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველი მხედრობა (თავად-აზნაურობა) იცავდა ფეოდალურ წესწყობილებას, მაგრამ ბოლოს ეს წესწყობილება მაინც დაინგრა. რუსეთთან შეერთების შემდეგ თავად-აზნაურებს მოსვენების დრო დაუდგათ, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ შეიგნეს, რომ საშუალო საუკუნეების ხანა უკვე წასული იყო. ისინი მდიდარი იყვნენ მამულით და კიდევ უფრო მდიდარნი—მოთხოვნილებათა სიმცირის გამო და ეგონათ, რომ ახალს ცხოვრებასა და კულტურას მათი შეძლება გაუმაგრდებოდა. ნელნელა შეიპარა მათს ქვეყანაში ახალი ცხოვრება და კულტურა და უსაქმოდ დარჩენილ მხედრებს გაუხსნა გემო ევროპის კულტურის ნაწარმოებთა. ისინი მუქთამჭამლებად და ღორმუცელებად გადაიქცნენ. მოთხოვნილება და ხარჯვის სურვილი თან და თან ეზრდებოდათ, და ვიდრე ახლად მოწოდებულ კულტურის გემოს გაღებას მოასწრებდნენ, მათი უმრავლესობა კიდეც გაღატაკდა. ამ გაღატაკებულთა შვილებმა და შვილის შვილებმა—გაჭირვების ძალდატანებით, უგულოდ და შეუგნებლად,—დაიწყეს ახალი მოქალაქობრივი მუშაობა, მოჰკიდეს ხელი ახალ მშობლიურ კულტურის აღორძინებას, მაგრამ ეს საქმე ძნელი იყო და მათს მეცადინეობას ფრიად მცირე შედეგი დაურჩა. ამათ, ძველ მხედართა შთამომავალთ, არ შეეძლოთ ხალხისა და მისი ცხოვრების განახლება და მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებისათვის საძირკველის ჩაყრა.

„ამავე დროს წარმოსდგა თავად-აზნაურებსა და გლეხებს შუა მესამე წოდება. იგი წარმოიშვა სოფლის ხალხიდან, თან და თან გამრავლდა და მოქმედება იწყო. მაგრამ იგიც ქართულ ეროვნულ ჭირით არის ავად. ეს ჭირია: სიზარმაცე, სიმჩატე, ჩუტი განათლება და გრძნობის აყოლა. სიმტკიცისა და პრაქტიკულ ცხოვრების პრინციპების ნაკლებობა თვისება გახლავთ ქართველ დემოკრატებისაც, ასე რომ მათთვისაც ძნელი უნდა იყოს სამშობლოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ბუნებით კი ეს ხალხი უეჭველად ნიჭიერია და შეიძლებოდა, გონებრივ გამჭრიახობითა და მუყაითობით, ისინი მართლა ღონიერ კულტურულ ადამიანებად ქცეულიყვნენ. დღეს კი სიღარიბით იტანჯებიან და ბედნიერებას ელიან სოციალიზმისაგან, რომელმაც ვითომ უნდა იხსნას ისინი ყოველგვარ გაჭირვებისაგან. თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობის მიზეზს ისინი თავიანთ უვარგისობაში კი არ ეძებენ, [illegible] რემოებასა და [illegible] ამიტომაც [illegible] თავისგან, [illegible] მოთხოვნებს [illegible] ნებობენ.“

გარდა ამისა, ბ-ნ ლეისტს აწერილი აქვს საგურამოს მიდამო, ილია ჭავჭავაძის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ქართველ ერისათვის.

საინტერესოდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ბ-ნ ლეისტის აზრი სომხების შესახებაც. ავტორის შეხედულება ჩვენს მეზობლებზე გამოთქმულია უმთავრესად წიგნის 161—162 გვერდზე. „მომჭირნე და წესიერების მოყვარული სომეხი—ამბობს აქ ბ-ნი ლეისტი—სცდილობს და ახერხებს კიდეც თავისი სახლი კარგად მოაწყოს, საცხოვრებლად მოხერხებული და სასიამოვნო გახადოს. წინა აზიის ხალხებში ყველაზე უფრო განირჩევიან სომხები მტკიცე ხასიათით და განსაკუთრებულის ნიჭით, რომელიც ოჯახის მოწყობასა და შეძენილ ქონების შენარჩუნების ცოდნაში გამოიხატება. შეძენა, შეძენილის შენახვა და გადიდება არის მუდმივი ფიქრი და მისწრაფება თითქმის ყველა სომხისა და ხშირად ერთად-ერთი მიზანიც ცხოვრებაში. სიტყვას „ვიგინდარა“ სომხებში კაცის შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან სომხები დემოკრატიული ხალხია, მათში თავად-აზნაური ძალიან ცოტაა და მათი მაღალი საზოგადოება სულ მთლად ძველის ან ახალ დროის ვიგინდარებისაგან შესდგება. განათლება ან მარტო სიმდიდრე გლეხსა და მეკურტნეს ხელად ზევით ამოსწევს და არც არავინ იკითხავს, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები. მაგრამ ამგვარ კაცებს, რომელნიც სიღარიბიდან და არარაობიდან ამოსულან და სიმდიდრე და გავლენა შეუძენიათ, გაუთლელობის დაღი მუდამ აკრავს, და როცა ასეთი ვიგინდარა სწავლა-აღზრდით არაა ცოტათი მაინც გადახალისებული, იგი ფრიად უსიმპატიო ადამიანია. სომეხ ფულიან კაცებში სიმპატიური ადამიანი საზოგადოდ ძალიან იშვიათია...

„ეჭვს გარეშეა, სომხები გონიერი და ჭკვიანი ხალხია, მაგრამ მათი გონება, როგორც ეტყობა, ცალმხრივი სპეკულატიურია და უწინარეს ყოვლისა—ვაჭრული. სომეხი მუდამ „თავის ტყავშია“, ფიქრობს და სჯის სწრაფად და ანგარიშობს სინამდვილისა და ფაქტების თანახმად. ლამაზი სიტყვები მასზე შთაბეჭდილებას არ ახდენს, ვინაიდან იგი წინ-დახედული, ფრთხილი კაცია და თვითონ მაინცა და მაინც მჭევრმეტყველიც არაა. მჭევრმეტყველობით მას სჯობნიან როგორც ქართველები და სპარსელები, ისე ბერძნებიც. სომხის სიტყვა იშვიათად არის ფერადი და პოეტური, მაგრამ ამ სიტყვის გონიერობას მაინც თავისი შედეგი მოაქვს და რადგან სომეხი მტკიცე ლოღიკის კაციც არის და ადვილად მას ვერაფერი გაიტაცებს, ამიტომ ცხოვრებაშიაც წარმატება აქვს, ვიდრე იმის მეზობლებს“.

ბ-ნს ლეისტს ძალიან მდარე ღირსებისად მიაჩნია სომხების ხალხოსნური ეთიკა და ამბობს, რომ თუმცა დღეს-დღეობით კავკასიაში სომხებს დიდი როლი აქვთ მიკუთვნებული, მაგრამ არა მჯერა ამ როლმა დიდად იმატოს, თუ სომხებმა თავიანთი ზნეობრივი შემეცნება არ აიმაღლეს და იდეალიზმით არ გაიფაქიზესო...

ბ-ნ ლეისტის წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და ღირს 1 მან. იყიდება ტფილისშიაც,—წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ვინც იცის გერმანული ენა, სიამოვნებით წაიკითხავს ამ წიგნს, რომელიც თავიდან ბოლომდის მშვენიერის სტილით არის დაწერილი. **გ.**

# იაპონია-ავსტრიის კავშირი

თუმცა ოფიციალურად უარ-ჰყვეს ხმა იაპონია-ავსტრიის კავშირზე, მაგრამ გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის ვენელი კორესპონდენტი მაინც ირწმუნება, დიპლომატთა წრეებში ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ ავსტრია-უნგრეთმა სამხედრო შეთანხმება შეკრა იაპონიასთანაო.

როგორც ისმის, ავსტრია და იაპონია კისრულობენ მოვალეობას ერთმანეთს უშველონ, თუ რომელსამე მათგანს რუსეთი დაეცემა. ამ შეთანხმებით, რომელიც მოუწონებია გერმანიას, იაპონია თავის თავს უზრუნველ-ჰყოფს ინგლის-რუსეთის შეთანხმებისგან.

როგორც ისმის, მოლაპარაკება

---

მქმედი ფანტაზია: აქ გრძნობა და სულიერი თავისებურობა გამოსჭვივის არა პირდაპირ სიტყვებიდან, როგორც ლირიკაში, არა გარეგნულ შეხედულების ფორმებიდან, როგორც ქანდაკებაში ან მხატვრულსა და მუსიკალურს ხელოვნებაში,—აქ ის შინაგანის შეხედულების ინდივიდუალურად გარკვეულს სურათებში სცხოვრობს, ე. ი. ჯერ მგოსნის, შემდეგ მკითხველის ესთეტიურს ფანტაზიაში: გონებრივი განსაზღვრულობა და უზრუნველობა, ბილოს უმწეობა ლუარსაბ თათქარიძეში, პატრიოტული გრძნობა მეფე დიმიტრიში, სიყვარულის და შურისძიების სიმარტივე და სიძლიერე გაბროში, გრძნობათა ზერელობა და დაუდევრობა დათიკოში, ბუნებრივი კეთილშობილება კაკო ყაჩაღში და სხ. მიუწდომელია ის ბედნიერი ნიჭი, რომლითაც ი. ჭავჭავაძეს ადამიანის ფანტაზია აჰყავს უუმაღლეს მწვერვალებზე, როგორც, მაგალითად, „აჩრდილში“, რათა შემდეგ მისს თვალწინ ჯადოსნურის სიძლიერით გადაშალოს წარმტაცი სურათი მშვენიერ სამშობლოსი, ან დაუხატოს შემაძრწუნებელი სურათი ნგრეულ და ღვთის რისხვას მიწებებულ კოსმოსის (სიზმარი: „ტიალს სივრცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული“), ან დაანახოს ბუნებრივ ძალთა ელემენტარობა და საშიში დაუდევრობა, ან დაატკბოს ფიანდაზად გაშლილ ველის სინარნარით, დაკოდილ ირმის ნაღვლიან სილამაზით და მიყუჩებულ ტყის იდუმალობით.

როგორც გრძნობის შეტანა აკმაყოფილებს ესთეტიურ სულის ერთს უძლეველს მოთხოვნილებას, მის ლტოლვას მეს გრძნობის გაფართოვებისადმი, ისე ხელოვნური ილლიუზია, საზოგადოდ ფანტაზიის მოქმედება კერძოდ აკმაყოფილებს მის მეორე, არა ნაკლებ ძლიერს მოთხოვნილებას, განთავისუფლებას წვრილმან, დუხჭირ, ყოველდღიურ სინამდვილისაგან. ადამიანი რაღაც გამოუთქმელს შვებას და არსებობის შემსუბუქებას ჰგრძნობს, როცა იგი ჩვეულებრივი სინამდვილის სფერიდან, რომლის სიმძიმე ხშირად მისთვის აუტანელი ხდება, შედის ესთეტიურ ილლუზიის სფეროში, სადაც პოეტიურ ფანტაზიის ცოცხალი ქმნილებანი მოკლებულნი არიან სხეულებრიობას, ამ რეალურ არსებობის მუდმივს ტვირთს. თუ რამდენად ძლიერია ეს ლტოლვილება, სჩანს იქიდან, რომ ის არა ერთხელ და უფრო ძლიერადაც გამოთქმულია კაცობრიობის სარწმუნოებრივს და ფილოსოფიურს აზროვნებაში, რომელიც სხეულს ხშირად სულის სატუსაღოდ და ამ ქვეყნიურ ყოფნის შეჩვენებად სთვლიდა. და მართლაც მაშინ, როდესაც ესტეტიური სული კმაყოფილდება ფანტაზიის თავისუფლად თამაშობით, მაშინ როცა იგი ჩვეულებრივს სინამდვილეს ესთეტიურს სინამდვილეს უპირდაპირებს და სიამოვნებას ამ წინააღმდეგობაში პოულობს, სარწმუნოებრივი პიროვნება სცდილობს რადიკალურად და საბოლოოდ განთავისუფლდეს რეალურ სივრცის, დროების და სხეულებრივობის საზღვრებიდან მისის დათრგუნვით ან ერთხელ და სამუდამოდ მოსპობით. ეს ცდა ხშირად ჰბადებს იმ ტრაგედიას, რომლის ერთი უდიდესი მაგალითი ილია ჭავჭავაძის „განდეგილია“.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

ავსტრია-იაპონიის შეთანხმებაზე ვენაში იაპონელმა პრინცმა კუნიმ უკვე ამ ორი თვის წინად დაასრულა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ შეთანხმებას ხელი მოაწერა იაპონელმა პრინცმა ნაში-მოტომ. („რ.")

„რ. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: „რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული წრეები ძლიერ შეაწუხა ავსტრიულ გაზეთებში დაბეჭდილმა ხმამ, რომ ავსტრიამ და იაპონიამ, ერთმანეთთან დასდეს სამხედრო შეთანხმება, რომლის ძალით იაპონიამ მოვალეობა იკისრა, დაუყოვნებლივ ომი გამოუცხადოს რუსეთს, თუ ამ სახელმწიფოს შეტაკება მოუვა ავსტრიასთან. თავის თავად ცხადია, რომ პეტერბურგში ამ შეთანხმების თაობაზე არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიუღიათ და როგორც იუწყებიან, ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომაც ჯერ არა იცისრა ამ საქმეზეო. უნდა ავღნიშნოთ, რომ რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან დაახლოვებულთ არა სჯერათ ეს ხმა, მაგრამ ის კი შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ავსტრიასა და იაპონიას უნდოდეთ ასეთი შეთანხმება. ყოველ შემთხვევაში, ამბობენ რუსის პოლიტიკოსები, ავსტრია-იაპონიის ასეთს სამხედრო შეთანხმებას შედეგად მოჰყვება ინგლის-იაპონიის კავშირის შეწყვეტა.

## ოსმალეთი

**ადანაში.**

ადანაში მომხდარ არეულობის გამო ბევრნი დაატუსაღეს. დატუსაღებულთა შორის 149 მუსულმანი და 118 ქრისტიანია.

**მფრინავი რაზმი.**

სტამბოლში მფრინავ რაზმს აარსებენ ცხენოსან ჯარისა და არტილერიისაგან. ეს რაზმი დაუყოვნებლივ გაიგზავნება იმ ადგილებში სადაც არეულობა მოხდება.

**რას თხოულობენ ბერძნები.**

ბერძნები თხოულობენ, რომ ბერძნულ ენას ისეთივე უფლება მიენიჭოს, როგორც აქვს ოსმალურს, უნივერსიტეტი დაარსდეს საკუთრივ ბერძნებისთვის და პროპორციონალური წარმომადგენლობა დაწესდეს. ოსმალელი დეპუტატები წინააღმდეგნი არიან ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისა.

## სპარსეთის ამბები

**სათარ-ხანს ჯარიმა მოსთხოვეს.**

რუსის ჯარის უფროსმა 20,000 მანეთი მოსთხოვა სათარ-ხანს ჯულფა-თავრიზის გზის ზარალისა და ზიანის საზღაურად. მანამ ამ ფულს არ გადაიხდის, სათარ-ხანს უფლება არა აქვს თავრიზიდან სხვაგან წავიდეს სადმე, ამის თაობაზე ენჯუმენმა ბეჯითი მოლაპარაკება გამართა სპარსეთის მთავრობასთან. („კ.")

**რევოლიუციონერების ულტიმატუმი.**

რევოლიუციონერები გარს შემორტყმენ თეირანს. სატახტო ქალაქიდან ყოველ დღე მიდიან თავისუფალი მეომრები და რევოლიუციონერებს უერთდებიან. მთავრობა არწმუნებს რევოლიუციონერებს, დაიშალენით, კონსტიტუცია უზრუნველყოფილიაო, მაგრამ ამაოდ.

ამ დღეებში რევოლიუციონერებმა შემდეგი ულტიმატუმი წარუდგინეს შაჰის მთავრობას:

1. რეაქციის ყველა მომხრე და მეჯლისის განადგურების მოთავენი სამხედრო სამართალში უნდა მიიცნენ.

უცხო სახელმწიფოების ყველა ჯარები დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ სპარსეთიდან.

3. თეირანში რომ რუსის ყაზახები არიან, დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ თეირანიდან და თავიანთი იარაღი რევოლიუციონერებს ჩააბარონ.

**პროტესტი უცხოეთის ჯარის წინააღმდეგ.**

ნეჯიფის მუშტეიდებმა დაწვრილებითი მოხსენება შეადგინეს ყველა უცხო სახელმწიფოს სახელობაზე. მისი პირი თეირანშიაც გაჰგზავნეს. მოხსენებაში მუშტეიდები პროტესტს აცხადებენ უცხოეთის ჯარების სპარსეთში შესვლის წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ ნეჯიფის მუშტეიდებმა ახალგაზრდა ოსმალების რჩევით გამოაცხადეს ეს პროტესტიო. ნეჯიფი, სადაც ზის მთავარი მუშტეიდი, წმიდა ადგილია შია მუსულმანებისთვის და მდებარეობს ოსმალეთის სამფლობელოში. ამბობენ აგრეთვე, რომ ნეჯიფის მთავარი მუშტეიდი იმუქრება, თუ რომელიმე სახელმწიფო ჯარს არ გაიყვანს სპარსეთიდან, მის საქონლის წინააღმდეგ ბოიკოტს გამოვაცხადებო. ვინიცობაა, რომ ნეჯიფის მთავარ-მუშტეიდმა ეს მუქარა გაამართლოს, სპარსელები წმინდად შეასრულებენ მის ბრძანებას და ახლო აღარ მიეკარებიან იმ სახელმწიფოს საქონელს, რომლის წინააღმდეგაც იქნება გამოცხადებული ბოიკოტი. ნეჯიფის მთავარ-მუშტეიდის ბრძანება კანონია სპარსელებისთვის. ამბობენ, ბოიკოტის გამოცხადებას ახალგაზრდა ოსმალები ურჩევენ მთავარ მუშტეიდსაო.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთიდან სპარსეთში გადის 100 მილიონზე მეტის საქონელი, მარტო შაქარი იყიდება 60 მილიონისა.

**ინგლისის ჯარი და გემები წავიდნენ სპარსეთიდან.**

ინგლისის ელჩმა ოფიციალურად გამოუცხადა სპარსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, ინგლისი მალე გაიყვანს სპარსეთის სამფლობელოდან ყველა თავის ჯარსა და გემსო. ელჩმა დასძინა, ინგლისის მთავრობას შემდეგი დეპეშა წარუდგინეო:

„უცხო ჯარის შესვლამ ძლიერ აღაშფოთა სპარსეთის ერი. შაჰმა გამოაცხადა, რომ მაგის გამო ხალხი ეჭვით უცქერის გამოცხადებულ კონსტიტუციასო. ამიტომ სანამ სპარსეთში უცხო სახელმწიფოების ჯარი იქნება, ხალხი არ დამშვიდდებაო.

**ოსმალეთის ჯარი გადის ურმიიდან.**

ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, ჩვენს ჯარს მალე გავიყვანთ ურმიიდან, ოღონდ იმ პირობით კი, რომ რუსეთმაც მალე გაიყვანოს თავისი ჯარი თავრიზიდანაო.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წარმომადგენელი ჯალალ-მასუდინ-ბეი, რომელიც დღემდე სპარსეთის ჯულფაში, რუსეთის საზღვარს ახლო, იმყოფებოდა, საჩქაროდ წავიდა ურმიაში.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შაბათს, 2 მაისს, ქართულ დასის ამხანაგობამ წარმოადგინა სუმბათაშვილის დრამა „ღალატი". ეს წარმოდგენა იმითი იყო საინტერესო, რომ ზეინაბის როლს პირველად ასრულებდა ნიჭიერი მსახიობი ქალი ნ. დავითაშვილი. საზოგადოდ მთელმა წარმოდგენამ ვერ ჩაიარა მწყობრად. მიზეზი ამისი ბევრია და მათ შორის ერთი შემდეგიც. ბალანჩივაძემ, რომელიც ბესოს როლს ასრულებდა და, ცოტა არ იყოს, სუსტობდა, მესამე მოქმედების შემდეგ სცენას თავი დაანება და თეატრიდან გაიქცა. მისი როლი სხვამ შეასრულა. განა ამგვარი საქციელი საკადრისია? ეს ხომ საზოგადოების დაცინვაა და მასხარად აგდება. არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს მსახიობს, ასე მოიქცეს. ამგვარ შემთხვევაში გასამართლებელი საბუთი მხოლოდ ერთია—მსახიობის ავადმყოფობა. ჩვენ კი ვიცით ნამდვილად, რომ ხსენებული მსახიობი ავად არ გამხდარა. ამ მოულოდნელმა გარემოებამ ცუდად იმოქმედა ყველაზე.

სამაგიეროდ, ნ. დავითაშვილის ხელოვნურმა თამაშმა დაგვატკბო საზოგადოება და დაგვავიწყა ეს სამწუხარო ინციდენტიც. ზეინაბის როლი მეტად რთულია და მძიმე. იგი მოითხოვს დიდ დაკვირვებას. ნიჭიერმა მსახიობმა ყველა ამას სძლია. ერთი ყალბი ინტონაცია, ერთი ყალბი მიმოხვრა არ შეგვინიშნავს მის თამაშში. როლი კარგად და შეგნებულად ჰქონდა შესწავლილი. ტანჯულ დედოფლის და უბედურ დედის სულიერი ვითარება მსახიობმა დიდის სინამდვილით გამოხატა. გულწრფელმა კილომ, გრძნობით სავსე თამაშობამ არა ერთხელ გამოიწვია დამსწრეთა შორის ცრემლები. უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ნ. დავითაშვილი, რომ ძლიერი პარტნიორი ჰყოლოდა. შალვა დადიანი, ჩვენის აზრით, სუსტი ოთარ-ბეგია. როლი ესმის კარგად, მხოლოდ ძალა ვერ შესწევს იმის ასასრულებლად. თვით დავითაშვილიც იმ საღამოს ძალიან ღელავდა, აი სწორედ ამ მღელვარებას უნდა მივაწეროთ ზოგიერთი წვრილმანი ნაკლი მის თამაშში. იმედია მომავალში უფრო გაბედულად გამოვა ამ როლში. ამ საღამოს მოგვეწონენ ივანიძე (ისახარ) და ყალამიშელიც (ანანია). არა უშავდარა ანდრონიკაშვილის ქალს (გაიანე) და მურუსიძე (დათო). დანარჩენნი მეტად სუსტობდნენ. ბესოს როლი ხომ შუაზედ გასწყვიტეს.

## რუსეთი

◆ **მენშიკოვი.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „რუსების საკრებულომ ნაციონალისტებს წინადადება მისცა სათათბიროს დათხოვნილ დეპუტატ კოლიუბაკინის მაგიერ სათათბიროში „ნოვოე ვრემ." ცნობილი თანამშრომელი მენშიკოვი გაიყვანეთო.

◆ **ოქტომბრისტების კრება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით შემოდგომაზე მოხდება სრულიად რუსეთის ოქტომბრისტების კრება. კრება დანიშნულია 9 ოქტომბერს.

◆ **კორვინ-მილევსკი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სახელმწიფო საბჭოს პოლონელმა წევრმა კორვინ-მილევსკიმ საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადა. „რეჩის" სიტყვით პოლონელთა კოლოს განუზრახავს კორვინ-მილევსკი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად გაიყვანოს. საქმე იმაშია, რომ ვილნოს გუბერნიის დეპუტატი სათათბიროდან გავა და მის ადგილზე გაიყვანენ კორვინ-მილევსკის. ამ დეპუტატს კი სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩევენ.

◆ **გორემიკინი.** „ბაქოს" სიტყვით ყოფილ პრემიერ-მინისტრ გორემიკინს ნიშნავენ კანცლერად.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: სარატოვში 5, ვილნაში 2, მოსკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 3, კამენეც-პოდოლსკში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ორიოლში 1, ხარკოვში 2, უფაში 4, ოდესაში 1, ეკატერინოსლავში 2 კაცი.

◆ **ხოლერის მსხვერპლი.** პეტერბურგში ხოლერის გაჩენიდან აქამომდე ხოლერით ავად გამხდარა 10,379, გარდაცვლილა 4,019, მორჩენილა 6,347 კაცი.

◆ **ფინლიანდიის ახალი სეიმის შედგენილობა.** როგორც ვიცით, უმაღლესის ბრძანებით დაითხოვეს ფინლიანდიის სეიმი. ახალი სეიმის არჩევნები უკვე დამთავრდა. თუმცა ჯერ სწორედ ვერ არის გამოანგარიშებული, მაგრამ, გაზეთების სიტყვით, სეიმში იქნებიან

| | ეხლა | 1908 წ. |
|---|---|---|
| ახალგაზრდა ფინები | 28 | 27 |
| ძველი ფინები | 48 | 54 |
| სოციალისტები | 85 | 83 |
| აგრარიები | 12 | 9 |
| შვედომანები | 25 | 25 |
| ქრისტიანი სოციალ. | 2 | 2. |

ამრიგად ახალგაზრდა ფინებს შეუძენიათ 1 დეპუტატი, ძველ ფინებს დაუკარგავთ 6. სოციალისტებს შესძენიათ 2, აგრარიებს შეუძენიათ 3.

◆ **ვოსტორგოვი.** როგორც ვიცით სინოდმა ჩვენში კარგად ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი, სხვათა შორის, ციმბირშიაც გაგზავნა, სადაც ამ უკანასკნელს ციმბირის სკოლებისათვის რევიზია უნდა გაეკეთებინა. „რუსკ. სლ."-ს სიტყვით, სინოდს ციმბირიდან ცუდი ამბები მოსდის. სემინარიების მასწავლებლებს ერთი აურ-ზაური აუტეხიათ, როგორ, ჩვენ, აკადემიკოსებს სემინარიელმა უნდა გაგვიკეთოს რევიზიაო? მათ ადგილობრივ ეპისკოპოსთან უჩივლიათ. ეპისკოპოსს სამართლიანად უცვნია მათი ჩივილი და ვოსტორგოვისთვის ნება არ მიუცია რევიზია გაეკეთებინა სასწავლებლებისათვის. ვოსტორგოვს ყველაფერი ეს სინოდისათვის შეუტყობინებია. სინოდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილა, ერთის მხრივ არ შეიძლებოდა სინოდის პრესტიჟის დაცემა, რადგან ამ უკანასკნელმა გაგზავნა ვოსტორგოვი, მეორეს მხრივ უხერხული იყო ეპისკოპოსზე ძალ-დატანება ეხმარათ. სინოდმა იმ წამსვე მისწერა მთავარ ეპისკოპოსს იოანნეს ვოსტორგოვის დასახმარებლად წადიო, მაგრამ ეპისკოპოსმა ევსევიმ მაინც არ შეიწყნარა ეს და სინოდთან იმით იმართლა თავი, რომ მთავარ ეპისკოპოსს იოანნეს ოფიციალური საბუთები არ წამოუყენებია, რომ სარევიზიოდ მოვიდაო. ამის შემდეგ სინოდმა ვოსტორგოვის მისაშველებლად გაგზავნა მოგილევის ეპისკოპოსი არსენი, რომელსაც ოფიციალური ქაღალდები გაატანა. ეპისკოპოსმა არსენიმ უმთავრესად ეკლესიები უნდა დაათვალიეროს, რადგან ვოსტორგოვმა მოიწერა, იმიტომ არ უნდათ რევიზია გავაკეთოთ, რომ ბევრი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ და გამოაშკარავებისა ეშინიანთო. ინციდენტი ჯერ არ გათავებულა, რადგან ჯერ არავინ იცის, როგორ მოიქცევა ეპისკოპოსი ევსევი. ამრიგად გამართლდა სინოდის ზოგიერთ წევრების წინასწარმეტყველება, რომ ვოსტორგოვის საშუალო სასწავლებლებ[illegible]ასწავლებლების უკმაყოფილებას გამოიწვევსო.

◆ **სტესელი.** როგორც ვიცით სტესელი ციხიდან განთავისუფლეს. სტესელს „რეჩის" თანამშრომლისათვის უთქვამს, რომ იაპონიასთან ომი იმიტომ წავაგეთ, რომ ჩვენ ჯარში ნათლიმამობა და სხვა ამისთანა „წესები" იყო გამეფებულიო. დასასრულ სტესელს უთქვამს, რომ ჩვენი პრესტიჟის აღსადგენად საჭიროა ომი, რომელსაც უსათუოდ მოვიგებთ თუ კარგად დავაყენებთ საქმესო.

◆ **რიაზან-ურალის რკინის გზის ზარალი.** „რეჩის" სიტყვით რიაზან-ურალის რკინის გზის საზოგადოებას გასულ 1908 წელს 12 მილიონი მანეთის ზარალი ჰქონია. ამ საზოგადოებას ყოველ წლივ ჰქონდის ზარალი და რაც ხანი გადის ზარალი თან და თან მატულობს. ამიტომ საგზაო საქმეთა მინისტრს ამ გზაზე გაუგზავნია განსაკუთრებული მოხელე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებს ამ რკინის გზას.

◆ **სიკვდილის დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ვარშავაში 2, უფაში 5, ელისავეტოგრადში 2, იურიევში 2, ხარბინში 1, რიგაში 1, კიევში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, კამენეც-პოდოლსკში 2, ვარშავაში 3, ოდესაში 1, ხარკოვში 1 კაცი.

◆ **კადეტების შეკითხვა.** „რუსკ. ვედომოსტ"-ის სიტყვით კადეტებს სათათბიროში იუსტიციის მინისტრის სახელზე შეკითხვა შეაქვთ. კადეტები მინისტრს ეკითხებიან, რა ზომები მიიღეთ, რომ დუბროვინი დაისაჯოს და «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» ბოროტმოქმედებათ ბოლო მოეღოსო.

◆ **ფედოროვის გაცემის პირობა.** საფრანგეთის მთავრობა ფედოროვს რუსეთს იმ პირობით გადასცემს, თუ მას ნაფიცი მსაჯულები გაასამართლებენ. რუსეთის მთავრობა ამ პირობაზე დასთანხმებულა. ფედოროვს ჯერ პეტერბურგში მიიყვანენ, სადაც მას ვიტეს მოკვლის განზრახვისთვის და კაზანცევის მოკვლისთვის გაასამართლებენ, ამის შემდეგ წაიყვანენ მოსკოვში, სადაც მას იოლოსის მკვლელობისთვის გაასამართლებენ.

◆ **საუნივერსიტეტო წესდება.** „რ. ვედ." სიტყვით საუნივერსიტეტო წესდების განხილვას მინისტრთა საბჭო ამ კვირაში დაამთავრებს. ასე რომ სათათბიროში სესიის გათავების დროს შეიტანენ, და სათათბირო ამ სესიაში ვერ განიხილავს მას. მისი განხორციელება კი მომავალ სასწავლო წლიდან აუცილებელ საჭიროებად აღიარა სახალხო განათლების მინისტრმა. ამიტომ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, საუნივერსიტეტო წესდებას 87 სტატიის ძალით განახორციელებენ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

დ. ზესტაფონში აკაკის საიუბილეო ადგილობრივმა კომიტეტმა შეაგროვა ხელის მოწერით და წარმოდგენის დადგმით აკაკის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად ფული. ხელის მოწერით შეაგროვა 186 მან. 40 კაპ. სია შემომწირველთა:

ხუთი მანეთი—იოსებ გუნცაძემ; სამი მანეთი და ერთი აბაზი—ი. მაღლაკელიძემ; სამ-სამი მანეთი: ვ. ნ. ალხოვსკიმ, ო. დვალმა, ლ. ჩხეიძემ, კ. საყვარელიძემ, ა. გაგუამ; ორ-ორი მანეთი: კნ. ა. აბაშიძემ, ვ. გარდავაძემ, ს. ორჯონიკიძემ, ბ. კელენჯერიძემ, ბ. გაჩეჩილაძემ, ვ. გაჩეჩილაძემ, ტ. ნიორაძემ, მ. გაჩეჩილაძემ, კ. ნემსაძემ, ს. გაჩეჩილაძემ, ს. ნებიერიძემ, ბ. საკანდელიძემ, პ. გაჩეჩილაძემ. ბ. საყვარელიძემ, ა. ბებიაშვილმა; თითო მანეთ ნახევარი: ვ. ცერცვაძემ, ვ. ბებიაშვილმა, ს. მამალაძემ, მ. სიხარულიძემ; თითო მანეთი: მღვ. კ. ანთაძემ, პ. კიკნაველიძემ, ნ. თაბაგარმა, ნ. მესხმა, ვ. მაჭავარიანმა, დ. მახარაძემ, ა. შეპისკიმ, ვ. ვ. მაჭავარიანმა, ი. სანიკიძემ, გ. საყვარელიძემ, ელ. წერეთელმა, მღ. კ. ხუსკივაძემ, გ. ერ. საყვარელიძემ, მ. კვინიკაძემ, ვ. გაჩეჩილაძემ, დ. მაღლაკელიძემ, ა. მაღრაძემ, ვ. კვინიკაძემ, გ. ახრახაძემ, ე. კვინიკაძემ, დ. ჯანელიძემ, ი. მაჭავარიანმა, ო. გენაძემ, გ. გიორგობიანმა მღ. ქ. ლამბაშიძემ, ი. გალუშკინმა, პ. ცქიტიშვილმა, ა. გაჩეჩილაძემ, კ. დევდარიანმა, დ. გეგეშიძემ, ა. საყვარელიძემ, ვ. რევაზიშვილმა, რ. მაჭავარიანმა, გ. გველესიანმა, მ. დევდარიანმა, კ. ებანოიძემ, ზ. კოვზირიძემ, ა. შალამბერიძემ, ძმ. ტყეშელაშვილებმა, თ. ორდიშვილმა, ს. კვანტრეშვილმა, ამხ. „სორაპანმა", ძმ. დანელიებმა, გ. მუმლაძემ, ი. გაბუნიამ, კ. ფერაძემ, ბ. გაჩეჩილაძემ, ო. არაბიძემ, ი. არაბიძემ, მ. როინიშვილმა, ი. ხაზარაძემ, პ. ჰიპაშვილმა, ფარსადანოვმა, ე. კიკნაძემ, ვ. ჰუმბაძემ, გ. თუთბერიძემ, ა. აბესაძემ, ს. საყვარელიძემ, ი. ჯაფარიძემ, ა. აბულაძემ, ვ. კორკოტოვმა, დ. ბარბაქაძემ, ვ. გუნცაძემ, კ. გენაძემ, ზ. ყუფარაძემ, რ. ჩუბინიძემ, ვ. დევდარიანმა, ლ. ჭაჭიაშვილმა, გ. ღვინჯილიამ, ი. კახიანმა, ა. და პ. კვირიკაშვილებმა, ათ ათი შაური: დ. მაღრაძემ, აგ. მაჭავარიანმა, ი. აბესაძემ, ა. ბარამაძემ, ვ. ბახტაძემ, სონა კარგარეთელმა, ვ. გაგუაძემ, ს. მხეიძემ, ს. კოვზირიძემ, მ. გაჩეჩილაძემ, ი. მაღლაკელიძემ, ვ. აბულაძემ, გამყრელიძემ, ლ. ხურციძემ, კ. გაჩეჩილაძემ, გ. გენაძემ, ს. გაჩეჩილაძემ, გ. გაჩეჩილაძემ, გ. ნიორაძემ, სა. კახიძემ, ე. ბურაძემ, ვ. მშვენიერაძემ, ბ. ახრახაძემ, დარ. ლამბაშიძემ, ქ. დარახველიძემ, ს. მშვენიერაძემ, კ. ლამბაშიძემ, ი. მაჩიტაძემ, ი. გაჩეჩილაძემ, ა. შარვაძემ, ნ. გენაძემ, თ. გელაშვილმა, ს. დვალმა, თ. ნებიერიძემ, ა. დგებუაძემ, ს. გაჩეჩილაძემ, კ. დათიაშვილმა, ი. ცერცვაძემ ი. დ.—მ, ს. გორგოძემ, ლ. ოკოევმა, გოლაძემ, კ. ალავიძემ, დ. ჭანკოტაძემ, ვ. დივანმა, რ. საყვარელიძემ, ს. მალაღურაძემ. შ. ო. გაჩეჩილაძემ, ს. ჭამჭეოტაძემ, ბ. ცქიფურიშვილმა, ე. ხაინდრავამ, ნ. უზნაძემ, თ. ცქიტიშვილმა, ბ. გოცირიძემ, ნ. გაჩეჩილაძემ, მიხ. მ. ლოლაძემ, №№-მა, ნ. გუნცაძემ, ი. ღოღობერიძემ, ო. კერესელიძემ, მ. ბუაძემ, მას. გ. კანდელაკმა მ. ცერცვაძემ, რ. მეგრელიშვილმა, ო. გურგენიძემ, გ. ცერცვაძემ, ს. მელაძემ, ბ. ცქიტიშვილმა, №№-მა, მ. ქათამაძემ, ვ. ფანცალიამ. ო. კაჭაძემ, ვ. გიორგაძემ, კ. ცერცვაძემ, ს. ბიბილაშვილმა, გ. ვიახირევმა, ს. ალავიძემ, ი. ჟორჟოლაძემ, ბ. შარაშიძემ, ს. ჩარბაქაძემ, ი. გამცემლიძემ, დ. ცქიტიშვილმა, ორ ორი აბაზი: გ. მაღლაკელიძემ, მ. ტაბატაძემ, ვ. შავრეშოვმა, ვ. ლელაძემ, პ. ნებიერიძემ, ს. დარაძეგოვმა, ტ. მშვენიერაძემ, თაკ. მაღლაკელიძემ, ი. შულაძემ, ს. კალატოზმა; ექს ექვსი შაური: კ. ჩარკვიანმა, დ. ლამბაშიძემ, ა. ბარბაქაძემ, ა. გოცაძემ, გ. თორთმელაძემ, თ. გაფრინდაშვილმა, ნ. მელაძემ, ვ. გიორგაძემ; ხუთ ხუთი შაური: ია. მაღლაკელიძემ, მ. ლავთაძემ, ზ. ჩიგოგიძემ, კ. ქათამაძემ, ვ. გუნიავამ, პ. ქლიბაძემ, პ. ცერცვაძემ, თითო აბაზი: კახნიაშვილმა, ყ. დავლაძემ, ი. ბანელაძემ, ნ. სხილაძემ. ს. ხეცაძემ, პ. ალავიძემ, პ. ჩაჩანიძემ, ი. ყანავჩელმა, ი. შანიძემ, მ. ნოზაძემ, პ. ბარბაქაძემ, ნ. გოგიაშვილმა, ა. შავიძემ, პ. ქიქოძემ, ნ. ცხრაკბილაშვილმა. ტ. გიორგაძემ, ნი. მესხმა, სერ. გაჩეჩილაძემ, ა. გიორგაძემ, პ. ნიორაძემ, კ. თორთმელაძემ, გ. გურგენიძემ, მ. აბრამიძემ, ს. ქათამაძემ. მ. აბულაძემ, ვ. ლელაძემ, დ. ხურციძემ. სამი შაური—ნ. გოცაძემ.

წარმოდგენის დადგმით შემოვიდა 201 მ. 75 კაპ. ბილეთების გაყიდვით 178 მ. 50 კ., კანფეტების გაყიდვით და ფოსტა—23 მ. 25 კაპ.

მთელი შემოსავალი იყო სულ ხელის მოწერით და წარმოდგენის დადგმით შეგროვილი 388 მ. 15 კაპ.

დაიხარჯა: საიუბილეო დღესასწაულის, სალიტერატურო დილის გამართვისათვის, მგოსნის აკაკის მისართმევ ფაფანაკის ფასად, აკაკის რჩეულ ლექსთა წიგნაკებზე, სურათიან ღია ბარათებზე და სხვა რამეებზე დაიხარჯა 54 მანეთი და 20 კაპ. წარმოდგენის დადგმა, სახლის ქირა, არტისტები, აფიშები, წერილები და სხვა წვრილი ხარჯი—66 მან. და 60 კ. მთელი ხარჯი 120 მ. 80 კაპ.

წმინდა შემოსავალი რჩება ხარჯების გამორიცხვით ორას სამოცდა შვიდი მანეთი და 35 კაპ.

ყვირილის ად. კომიტეტი უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და დახმარება გაუწიეს ამ კეთილ საქმეს.

ყვირილის (ზესტაფონი) ადგ. კომიტეტის მონდობილობით ი—მ—ძე.


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

[illegible]

დილით:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—85)



**მივდივარ საზაფხულოდ**

**სოფ. ტყვიავში**

გორის მახლობლად და მიმყავს მსურველნი გიმნაზიის დაბალ და საშუალო კლასებისათვის მოსამზადებლად. ვარდისუბნის ქუჩა (ვერაზე), № 5, ბინა 7. (1—262—1)



**ზედამხედველი კომიტეტი მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში,**

თანახმად წესდების მე-89 §-ისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი წლიური კრება დანიშნულია ქ. ქუთაისს ბანკის სადგომში 31 მაისს 1909 წ. დილით 11 საათისთვის. იმავე მე-89 §-ის წესდების დამატების ძალით კრება ითვლება კანონიერად შემდგარი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი რწმუნებული დაესწრება კრებას.

**განსახილველი საგნები:**

1. ანგარიში 1908 წლისა.

2. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

3 მოგების განაწილება.

4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების რამდენიმე მუხლისა §§ 12, 17, 21, 22, 77, 101 და 102.

5. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.

6. კომისიის მოხსენება შესახებ ბანკზე დარჩენილ მამულებისა და საჭირო წესდების შედგენა იმ მამულების მართვისა.

7. მოხსენება კრების მიერ არჩეულის კომისიისა შესახებ საპენსიო კასის წესდებისა §-ის შეცვლისა და დამატებისა.

8. ზედამხედველ კომიტეტის წევრების არჩევა იმათ მაგივრად, რომელთაც ვადა უთავდებათ. (2—6.—2)



**ამხ. „სორაპანის" გამოცემა**

ქართველი და უცხოელი მწერლები

**„ახალი ჩანგი"**

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა".

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის საზოგადოებისა, „რეჩის" კიკნაძისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა" კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ღირება (200 გვ.)** 25 კაპ. წიგნი ცალკე გასაყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც. გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ", М. Гачечиладзе.

**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.** (10—6.—8)



**ალმეზა**

**ჯერ არ ყოფილა ამ გვარი უტყუარი კბილის მომრჩენი წამალი.**

**ალმეზა**—სულ ორ წუთში აცხრობს კბილის ტკივილს.

**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოდ ღრძილების ტკივილს და სისხლის დენას.

**ალმეზა**—ზრდის საკვირველად ღრძილებს და ამაგრებს კბილებს.

**ალმეზას**—ქეთების შემდეგ დანარჩენი კბილები არ აგტკივდებათ.

**ალმეზა**—ჰკარგავს სამუდამოდ პირის სიმყრალეს.

**ალმეზა**—არის აუცილებლად საჭირო ყოველს ოჯახში.

**ალმეზა**—არის საჭირო მოგზაურობის დროს.

**ალმეზა**—უტყუარი საშუალებაა.

**ალმეზა**—ღებულობს აუარებელ სამადლობელ წერილებს.

**ალმეზა**—დაჯილდოვებულია გამოფენებზე.

**ალმეზით**—ვარჩენთ ავადმყოფებს კანტორაში უფასოდ. დასარწმუნებლად, რომ უტყუარი საშუალებაა.

**ალმეზა**—მიიღებთ აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

**ალმეზა**—არ აურიოთ კბილის სხვა წამლებში. მალე დარწმუნდებით, რომ ამ გვარი უტყუარი წამალი არ იშოვება.

**ალმეზას**—გამოწერა შეიძლება მთავარ საწყობიდან: ტფილისი, პუშკინის ქ. N 15. წარმომადგენელი მთელ კავკასიისათვის და ამიერ-კასპიის მხარისათვის **ი. გ. ახობაძე.** (1—261—1)